შაბათი, 1917 წ. მარიამობისთვის 19 (1)

წელიწადი მესამე

ფასი 15 კაპ.

# საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია არის დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

გაზეთის ფასი პირველ ოქტომბრიდან წლის დამლევამდე 10 მან. 3 თვით—5 მან., ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 2 მან. ცალკე № 10 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 30 კაპ. უკანასკნელზე—20 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 6 მანეთიდან—10 მანეთამდე—ზომით. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მ. ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

№ 182

ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი

№ 182

## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

რუმინეთის ფრონტზე გერმანელები ძლიერ იერიშებს განაგრძობენ. რუსის ერთი პოლკი მთლად გაიფანტა.

მოკავშირეთა სოციალისტურ კონფერენციამ უარჰყო ის რეზოლუცია, რომელიც, გერმანელებთან მოლაპარაკებაზე უარს აცხადებდა.

მოსკოვის სახელმწიფო თათბირი დასრულდა.

დაიწყო რუსეთის საეკლესიო კრება.

ფინლიანდიის სეიმში დეპუტატები არ შეუშვეს. სეიმის ტალმანი მთავრობას პროტესტს უცხადებს.

სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგად გრაფინია პანინა დაინიშნა.

### წერილები

მეთაური—რუსეთის საეკლესიო კრება.

რ. ინგილო.—„რკინითა და სისხლით“.

მ. ჯანაშვილი—საქართველოს კათალიკოსი.

კორესპონდენცია: საჩხერიდან, გორის მაზრიდან და ახალ სენაკიდან.

სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების წესი.

ღრმად დამწუხრებულნი ოლღა დიმიტრის ასული, და იოსებ ზაქარიასძე, პირველი ძვირფასი მამისა და მეორე სიმამრისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ყველა ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 17 ამ თვეს უეცარი ავათმყოფობით გარდაიცვალა

**დიმიტრი ივანეს ძე ამირანაშვილი**

დაკრძალვა მოხდება კვირას, 20 აგვისტოს, კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარი სახლიდან ვლადიმირის ქუჩა № 52.

1—757—1

პოლკოვნიკი ვახტანგ ივანეს ძე, სოფიო ივანეს ასული, ნინო ზაქარიას ასული, მარიამ, ელისაბედ, თამარ, ივანე და შალვა ფავლენიშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, ოც აგვისტოს ლადოგის ეკლესიაში ნაშუადღევის თორმეტ საათზედ გადახდილი იქმნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი—პირველთა ძვირფასი შვილის, მეორესი ძმის და მესამეთა ძმის—მესამე მფრინავ რაზმის პოდპორუჩიკის

**ალექსანდრე (საშა) ვასილის ძე ფავლენიშვილის**

სულის მოსახსენებლად.

წირვა დაიწყება დილის ათ საათზე.

1—756—1

სამშაბათს, 22 ს აგვისტოს იქნება გადახდილი ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროვოთ გადაცვლილის ქუთაისის მეოთხე კლასის კლასიკურ გიმნაზიის მოწაფის

**გიორგი სპირიდონის ძის კიკნაძის**

სულის მოსახსენებლათ.

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდამწვარნი მშობლები სოფიო კონსტანტინეს ასული და სპირიდონ ანტონის ძე კიკნაძენი.

წირვა დაიწყება დილის ათ საათზედ წმინდა გიორგის ეკლესიაში, ხოლო პანაშვიდი წირვის შემდეგ თვით განსვენებულის საფლავზედ.

1—754—1

**გაზეთ „საქართველოს“ კონტორისაგან**

რადგანაც დღითი-დღე სიძვირე მეტის-მეტად მწვავე ხასიათსა ღებულობს, იძულებული ვართ, გაზეთის ფასსაც დროებით მოუმატოთ, დღეიდან გაზეთის

**თითო ნომერი ეღირება 15 კაპ.**

ხელის მომწერთა ფასები შეიცვლება პირველ ენკენისთვიდან.

**ახალი საკრებულო**

(ყოფილი ხარფუხის კლუბი მიხ. პროსპექტი № 131)

შაბათს, 19 აგვისტოს

**არშინ-მალ-ალან**

სომხურ ენაზედ.

1—737—1 დასაწყისი საღ. 9 საათზედ.

**სწავლა-განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი**

8-კლასიანი (ვაჟთა და ქალთა)

**პუშკინის გიმნაზია**

(სრულ უფლებიანი)

თხოვნები მიიღება 1-ლი თბილისის მოსამზადებელ კურსების კანცელარიაში პუშკინის ქ. № 4. 10—1 საათამდე და 5—7-დე.

8--735—2

ექიმის თანაშემწე

**ვანო საათაშვილი**

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—8 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებთ, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).

4—748—თ.

ექიმი

**გ. ი. ბარნაბე**

[illegible] ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ღებულ. დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, [illegible] ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი

**გ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. [illegible] პროსპ. № 86, [illegible]

[illegible]

[illegible]

**კალანდარიშვილი**

[illegible] კურსებისა.

ბავშვთა, შინაგან და [illegible] სნეულებათა ავადმყოფებს [illegible]

მანგლისში

საკადეტო კორპუსის ბაღში

ექიმი

**ა. დ. კეკელია**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

(თ—703—12)

ექიმი

**ბ. მ. მუსხაძე**

იღებს ხაღლოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა მისამართი: [illegible] ქუჩა № 67; [illegible] სახლი [illegible] ტელეფონი № 5—77.

ექიმი

**გ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, [illegible] პირდაპირ, [illegible] ქუჩა, № 19.

ექიმი ქალისა

**ე. ივ. გაბარჯაშვილი-მათეშვილისა**

იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ზერქვშიშვილის და [illegible] ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი

**დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა დილის 1 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 7 საათამდე.

გუნიბის ქუჩა № 41

თ—719—7

ექიმი

**მ. ფ. მგალობლიშვილი**

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: [illegible] ქუჩა № 41, [illegible] სართული, ტელ. 9—58.

ექიმი

**ე. ლ. შალამბერიძე**

იღებს სახშოთა და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: [illegible] ქუჩა № 7.

თბილისი, მარიამობისთვის 19.

## რუსეთის საეკლესიო კრება

16 აგვისტოს მოსკოვში დიდი ამბით გაიხსნა რუსეთის საეკლესიო კრება. ამ კრებას თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეკლესიის საკითხი ძველ რუსეთში ერთი მწვავე საკითხთაგანი იყო.

სინოდის ბიუჯეტის განხილვა ყველა სახელმწიფო სათათბიროში დიდ პარლამენტარულ დღეთ ითვლებოდა, აღშფოთებული საზოგადოებრივი სინდისი ამ დღეს აერთებდა სასტიკ კრიტაში შეურიგებელ მოწინააღმდეგეთ. და თითქმის მთელი სათათბირო ოპოზიციაში უდგებოდა სინოდს.

რასაკვირველია ეს სრულიად არ სცვლიდა სინოდის პოლიტიკას, ის პირდაპირი იყო და ამასთან საეკლესიო ცხოვრების საკეთილო რეფორმების წინააღმდეგ მიმართული.

ერთი - ერთმანეთზე იცვლებოდნენ ობერ-პროკურორები სინოდის: საბლერი, სამარინი, ვოლჟინი და ეს ცვლილებანი დამოკიდებული იყვნენ რომელიმე შემთხვევით გამყლელზე, როგორც მაგალითად გრიგოლი რასპუტინი ან ბერი ილიოდორე.

არა მარტო ეკლესიის ბედს განაგებდა ეს ხალხი, იმათმა ბნელმა მოღვაწეობამ გაუთხარა საფლავი რუსეთის სახელმწიფოებრივ მთავრობას. რასპუტინის და ილიოდორეს ისტორიები დღეს საშუალვარო ბროშიურების საგანი გახდარან, მაგრამ იმდენად დიდია შედეგი მათი მოღვაწეობის, რომ ისტორიკოსებიც შეისწავლიან იმას გულმოდგინეთ.

სინოდში დაბუდებულ ბოროტების მოსასპობად ჯერ კიდევ სახელმწიფო სათათბიროში დაიბადა აზრი საეკლესიო კრების მოწვევის შესახებ.

თავის დროზე ეს არ იქნა განხორციელებული, მხოლოდ, დღეს როცა რევოლიუციამ უნდა გადასჭრას ბევრი დაწყვეტილი საკითხები, შესაძლებელი შეიქნა საეკლესიო კრების მოწვევა ძველი წესების გასაუქმებლად.

როცა კრება გაათავებს მუშაობას, ჩვენ მაშინ გაუკეთებთ მთელ ანგარიშს.

დღეს ჩვენთვის საინტერესოა ჩვენი ეკლესიის დამოკიდებულება ამ კრებასთან.

მის შემდეგ რაც ქართველმა ერმა გამოაცხადა ავტოკეფალია თავის ეკლესიის და რუსეთის მთავრობამ ეს დაამტკიცა, ქართული ეკლესია გარეშე სდგას ამ კრებიდან.

აწი მათ შორის დამოკიდებულება უნდა იყოს როგორც ორი სწორ უფლებიანი ეკლესიების, მაგრამ ძველი დავა ქართული ეკლესიის დამოუკიდებულებაზე ისევ ძალაში რჩება.

რუსეთის სინოდი ისევ აგრძელებს ბრძოლას. 15 აგვისტოს სინოდმა დანიშნა და დროებით მთავრობამ დაამტკიცა ყოფილი ექსარხოსი პლატონი ტფილისის მიტროპოლიტად, 13 აგვისტოს კი ქართველმა კრებულმა აირჩია ტფილელი მიტროპოლიტი, ეს მოვლენა ბადებს ახალ სადავო საგანს. ამის გარდა რუსეთის და ქართველი სამღვდელოების შორის სადავოა კიდევ მთელი რიგი სასულიერო დაწესებულების, როგორც მაგალითად სკოლები და სხვა.

ამის გამო ქართული ეკლესია ვერ მიიღებს იმ დადგენილებებს, რომელსაც გამოიტანს რუსეთის საეკლესიო კრება, როგორც წარმომადგენელი დაინტერესებული მხარის, ქართულმა საეკლესიო მართველობამ ერთხელ და სამუდამოდ, ნათლად და გარკვეულად უნდა განაცხადოს, რომ რუსის ეკლესიას ხელი არ აქვს თავისზე უფროს ქართულ ავტოკეფალურ ეკლესიის საქმეებთან.

## „რკინითა და სისხლით“

სამიოდე წლის წინათ სევდის მომგვრელ შემოდგომის ნესტიან საღამოს პეტერბურგის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებლის აუდიტორიაში არა ჩვეულებრივი ხმაურობა იდგა: ორივე სქესის ახალგაზრდობა მოუთმენლად ელოდა სათათბიროს მემარცხენე დეპუტატს, რომელსაც, აღარ მახსოვს რა თემაზე, ლექცია უნდა წაეკითხა.

ამ დეპუტატს იცნობდენ, როგორც ხალხის უკიდურეს აღშფოთებისა და ზიზღის გამომხატველს თვითმპყრობელობისადმი. მის მქუხარე სიტყვებს თავრიდის სასახლეში განუზომელი აღტაცებით ითვისებდა მშრომელი ხალხი; სასახლეში მას უწოდებდენ „შეურიგებელს“...

ესტრადაზე ჩქარის ნაბიჯით ავიდა მეტად ნაზი აგებულების ქერა კაცი, რომელიც პირველი შეხედვით 23—25 წლის ჭაბუკს წააგავდა, მომხიბლავი სიტყვებით იგი მოუთხრობდა მსმენელთ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაზე, რუსეთის ხალხი რომ ეწეოდა სულის შემხუთველ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. იგი გამოსთქვამდა იმედს, რომ სულ ახლო მომავალში რუსეთის დემოკრატია მოიცილებს ტანიდან ამ ჩირქს და მაშინ განთავისუფლებული და ბედნიერი ამცნობს ქვეყანას თავის სულიერ სიმდიდრეს და ამაღლებულებას.

ამ სიტყვების მთქმელს—ალექსანდრე კერენსკის—ბედმა არგუნა შესანიშნავი როლი იმ უდიდეს აჯანყებაში, რომელიც თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ელვის სისწრაფით მოედო რუსეთს და დღესაც არ ჩანელებულა! რევოლიუციის ტალღებმა სავსებით შთანთქა ეს ადამიანი: პირველ დღეებშივე მან თვალ-საჩინოთ იმოქმედა, როგორც იუსტიციის მინისტრმა და ამ ჟამად სხოშ—მთავრობის სათავეში მოქცეული—იგი იპყრობს არამც თუ რუსეთის, არამედ მთელი ქვეყნის ყურადღებას.

რევოლიუციის პირველმა ხანამ ისე მწყობრად და უშფოთველად ჩაიარა, მეფობის ნაშთები ისე უეცრად აღიგავა პირისაგან ქვეყნისა, რომ „უსისხლოს“ სახელით მონათლეს რუსეთის რევოლიუცია; მაგრამ როდესაც საქმე მიდგა აღმაშენებლობაზე, როდესაც ტირანიის ნანგრევებზე უნდა აღმართულიყო ხალხთმართველობის საუცხოვო შენობა, რუსეთმა —ეს აშკარად უნდა ითქვას—ვერ გამოიჩინა პოლიტიკური სიმწიფე და შორსმჭვრეტელობა, ვერ გამონახა ის სწორი გზა, რომელიც მას სრულ გამარჯვებამდე მიიყვანდა და რევოლიუციურ წეს-წობილებას საერთო თანაგრძნობას მოუპოვებდა.

რევოლიუციამ ნათელ ჰყო, რომ პოლიტიკაში ყველაზე ძნელად შესათვისებელი ცნება არის თავისუფლების იდეა. იგი რამდენადაც ბევრ გასაქანს აძლევს ადამიანის შემოქმედებით ნიჭს და აფართოებს მის მოქმედების სარბიელს, იმდენად მეტ სიბრძნეს, სიდარბაისლეს და საერთოდ სახელმწიფოებრივ გაწვრთნილობას მოითხოვს მისგან.

თუ როგორ გამოიყენა გამოცხადებული სრული თავისუფლება რუსის ხალხმა, ამას ამოწმებს იმავე კერენსკის სასოწარკვეთილების სიტყვები, რომლითაც მან რევოლიუციის მეორე თვეზე მაჰმართა აღელვებულ ჯარის დუნდგოს და მწარე სინამდვილით დაახასიათა იგინი აჯანყებულ მონებათ,

მართლაც, უკიდურეს პარტიების და სხვა-და-სხვა სამხედრო ჯგუფების მოქმედებებში და პოლიტიკურ აქტებში რუსეთის რევოლიუციის მემატიანე აღმოაჩენს ძლიერ ბლომა უარყოფითი თვისებებს! ისტორიის პირუთვნელი ანალიზი დაგვარწმუნებს, რომ ხალხის უმრავლესობამ ჯეროვნად ვერ შეითვისა თავისუფლების იდეა, ვერ მიხვდა მის სიდიადეს და მნიშვნელობას.

3—4 ივლისის პეტროგრადის უგუნურ ამბებმა, რომელმაც ასობით შეი-

წირა უდანაშაულო და უმწეო ხალხის სისხლი, ბევრს რევოლიუციის წრფელ მოკეთეს დაუცრუა გული, რადგანაც საზოგადოება დარწმუნდა, რომ რევოლიუცია არ-კი ღრმავდება, როგორც ამას ზოგიერთნი გაიძახოდნენ და ეხლაც გაიძახიან, არამედ უპასუხისმგებლო ბრბოს და მის ბელადთა მეოხებით იფუშება, სცხრება და ხელს უწყობს კონტრ-რევოლიუციის დაახლოვებას...

პეტროგრადის აჯანყებაში მოკლულ ყაზახთა დასაფლავების დღეს ისააკის სობოროსთან კერენსკიმ წარმოსთქვა პირველი მრისხანე სიტყვა, რომელშიაც უკიდურესთ პირველი გაფრთხილება შეუთვალა და დასძინა, რომ სახელმწიფოს აქვს მრავალი საშუალება გაუმკლავდეს გამხრწნელ ძალებს.

განთავისუფლებულ რუსის ხალხში კერენსკი ამაოდ ეძებდა სულიერ სიმდიდრეს და ამაღლებას!

საშინელ მდგომარეობამ ფრონტზე და შინაც რევოლიუციური მართველობა მიიყვანა იმ ჭეშმარიტებამდე, რომ რუსეთის თავისუფლებას ბოლო ეღება, ამიტომ დაუყოვნებლივ საჭიროა გამოიძებნოს ხსნის გზა! დამფუძნებელი კრება ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო ვერ შესდგებოდა სწრაფად, რის გამო განიზრახეს საგანგებო სახელმწიფო თათბირის მოწვევა მოსკოვში. მას პირველი სიტყვით მიმართა კერენსკიმ... უღმობელი პროკურორი ძნელად გამონახავს ისეთ მკაცრ დახასიათებას, როგორითაც მინისტრ-პრეზიდენტმა დააჯილდოვა ბრალდებული—რუსეთი. სადღაა ის აღტაცებული კერენსკი, რევოლიუციის ქარ-ცეცხლში გადახარშული თავ-აღებული მებრძოლი? სადღაა მისი ღრმა რწმენა განახლებულ რუსეთისადმი? მის სიტყვაში იცვლებოდენ ღვარძლი, სასოწარკვეთილება, ზიზღი, ხვეწნა და მუქარა! იმ რუსეთს, რომლის განთავისუფლებლად კერენსკი სიცოცხლეს არ იზოგავდა, დღეს მან მიჰმართა მუქარით, რომ რკინითა და სისხლით ჩააქრობს ყოველ გამოსვლას მთავრობის წინააღმდეგ, რომ სისხლის ზღვაში ჩაახრჩობს, ვინც ხელს შეუშლის რევოლიუციურ მთავრობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში...

რეაქციის მიერ ხელდასმული ყოფილი სარატოვის გუბერნატორი რევოლიუციურ რუსეთს განადგურებას უქადდა, მაგრამ თვით მოჰყვა რევოლიუციის აქაფებულ ტალღებში! ათი წლის შემდეგ ასეთივე მუქარით მიმართავს რევოლიუციის „აჯანყებულ ყმებს" ყოფილი სარატოვის ნაფიცი ვექილი... ვინ დაამარცხებს,—ძნელია ამისი თქმა, ხოლო ძალაზე დაყრდნობა რომ მოუხდება კერენსკის, ეს ეჭვს გარეშეა!

Cave ne cadas!

რ. ინგილო.

# მოსკოვის სახელმწიფო თათბირი

### კრაპოტკინის სიტყვა.

მხურვალედ ეგებებიან ძველ რევოლიუციონერ თავად კროპოტკინის გამოსვლას. კრაპოტკინი მოუწოდებს ერთხელ და სამუდამოდ გაწყვეტას ყოველივე დამოკიდებულების ციმერვალდთან და ყველას ურჩევს სამშობლოს და რევოლიუციის დახსნას, რომელნიც განუყრელნი არიან. გერმანელები არა სტყუვიან როცა ამბობენ, რომ გაიმარჯვებს ის, ვინც დიდ ენერგიას და ერთსულოვანობას გამოიჩენს ომის უკანასკნელ თვეებშიო. გერმანელთა გამარჯვების შედეგი ჩვენთვის საშინელი იქნება. პოლონეთი, ლიტვეთი, კურლიანდია, რიგა, რეველი და კოვნო გერმანელების ხელში გადავა, შესაძლებელია რომ კიევიც და ოდესაც დაიპყრან. გერმანელები დაგვადებენ მძიმე კონტრიბუციას და ჩვენ გავღატაკდებით, როგორც საფრანგეთი 1871 წ. არაფერი არ არის იმაზე მძიმე, ვიდრე ფსიხოლოგია დამარცხებულ ქვეყნისა. ეს ფსიხოლოგია მე გამოვცადე საფრანგეთში რომელიც ქედს იხრიდა მეფე ალექსანდრესა და ნიკოლოზის წინაშე. ჯარის-კაცებისადმი მიმართვაში მოუწოდებს მიბაძონ იტალიელებს, რომელნიც წარმოუდგენელ ცუდ პირობებში იბრძვიან, მაგრამ მაინც იმარჯვებენ. იტალიელები ცდილობენ რუმინეთის განთავისუფლებას. მათგან უნდა ვისწავლოთ მაგალითი (ხმები „გაუმარჯოს იტალიელებს"). მოქალაქეთა მიმართვაში მოუწოდებს შეგნებას ახალი ერის მოვალეობებისას, რომელიც მისცემს ხალხს განათლებას სიმდიდრეს ბედნიერებას, სინათლეს და თავისუფლებას. კრაპოტკინს მოჰყავს ისტორიული მაგალითები ინგლისისა და საფრანგეთის ცხოვრებიდან, მიუთითებს ჩვენი დემოკრატიის გამოუცდელობაზე და მოუწოდებს ახალი ცხოვრების აშენების შესწავლას. დასასრულ კრაპოტკინი მოითხოვს, რომ დამფუძნებელ კრებამდე არც ერთი საკითხი არ იქნას გადაჭრილი და თავისი მხრივ რესპუბლიკას აღიარებს. არ უნდა ვიყოთ დაყოფილი მარჯვენა და მარცხენათ. სამშობლო ყველასათვის ერთია, რომელსაც ყველა უნდა შევეწიროთ. (ტაში, ოვაციები).

### პლეხანოვის სიტყვა

პლეხანოვი თავის სიტყვას იწყებს რევოლიუციონურ დემოკრატიის მნიშვნელობის განმარტებით. ხაზს უსვამს რომ დემოკრატიას ხვდა წილად დიდი და სასტიკი ჯაფა თავისუფლების მოსაპოვებლად. იმათ მიმართ, ვინც ბურჟუაზიას წარმოადგენს, პლეხანოვმა სთქვა: „დადგა მომენტი, როდესაც სახელმწიფოს ინტერესებისათვის და თქვენი კერძო ინტერესებისთვის აუცილებელია თქვენი მორიგება პროლეტარიატთან. თუ უწინ რუსეთის მრეწველობა იზრდებოდა და მეფის თვითმპყრობელობას ემყარებოდა, ამიერიდან რუსეთის მრეწველობა გაიზრდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვაჭარ-მრეწველთა კლასი სოციალ-რეფორმების მოხდენას შეეცდება. ვაჭარ-მრეწველთა კლასმა უნდა იცოდეს, რომ შეუძლებელია ეკონომიური მთლიანობა და ბრძოლა გარეშე მტერთან, თუ კი შეთანხმება არ მოხდება უკიდურეს რევოლიუციონურ დემოკრატიასთან. შეთანხმების გზა ღია რჩება, თუ შეურიგდებიან ფართო რეფორმების პროგრამის განხორციელებას. პლეხანოვი იგონებს, ლენინის მოწოდებას მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების მიმართ, რომ მათ მთელი ძალა აიღოთ ხელში, საბჭოების უმრავლესობამ უპასუხა, ქვეყანა კაპიტალისტურ კრიზისს განიცდის და ძალადობა შეუძლებელიაო. ამის და მიხედვით, მუშათა კლასმა უნდა გამოარკვიოს თავისი დამოკიდებულება ვაჭარ-მრეწველთა კლასთან.

### ჩხენკელის სიტყვა

ოვაციებით შეხვდა დარბაზი ჩხენკელს, რომელიც გამოვიდა როგორც მთავრობის წარმომადგენელი კავკასიაში.—„ამიერ კავკასიის ერნი,—დაიწყო ჩხენკელმა,—თანაზიარნი არიან არა თუ მარტო ერთმანეთს შორის, არამედ მთლად რუსისა და სხვა ხალხებთან, რომლებიც ცხოვრობენ დიდ სახელმწიფოში. მე ვტრიალებდი ეგრედ წოდებულ ინოროდცებს შორის და შემიძლიან გიახრათ, რომ ჩვენ აღარა გვყავს „ინოროდცები" რუსეთში, არის მხოლოდ ერთადერთი რუსის ხალხი. ჩვენ ბედნიერნი ვართ რომ გვაქვს ერთი სამშობლო". ჩხენკელი განაგრძობს: „დღევანდლამდე ამიერ კავკასიის არც ერთ ხალხს არ მოუხდენია სეპარატიული გამოსვლა. ვიტყვი მეტს: ეს ხალხები, ცენტრთან ერთად, ეხსნებიან დემოკრატიის სახელით წარმომდგენილს დეკლარაციას (ტაში და ოვაციები).

### ტოპჩიბაშევის სიტყვა

ცხარე ტაშის კვრით შეხვდა დარბაზი მუსულმანთა წარმომადგენელს ტოპჩიბაშევს, რომელმაც განაცხადა, რომ მუსულმანები მზად არიან სავსებით მხარი დაუჭირონ მთავრობას და იარონ რევოლიუციონური დემოკრატიის გზით, ომის საკითხში იცავენ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს ხალხთა თვით გამორკვევის უფლების საფუძველზე. ორატორმა გაათავა სიტყვა მოწოდებით ერთობისადმი იმ იმედით, რომ ქვეყანაზე ამოუშუქდება თავისუფლების მზე.

### მაჭავარიანის სიტყვა

ქართველთა სახელით ილაპარაკა მაჭავარიანმა, რომელმაც გულითადიანად გაახსენა კრებას საქართველოს მწუხარებანი წარსულში.

### კაპაცინსკის სიტყვა

სახელმწიფო თათბირის უკანასკნელ სხდომის სხდომაზე სასოფლო-სამეურნეო თათბირის წარმომადგენელმა კაპაცინსკიმ წაიკითხა დეკლარაცია, რომელშიაც გამოთქმულია სურვილი, რომ დამფუძნებელ კრებამდე არ იყოს გადაწყვეტილი მიწის საკითხი, რომ დაჩქარებულ იქმნას მუშაობანი აგრარულ რეფორმების შესახებ საჭირო მასალათა შემზადებით, გამოცხადებულია პროტესტი მიწების დატაცებაზე და კულტურულ მამულების დარბევაზე. დეკლარაცია თავდება მოწოდებით — მხარი დაუჭირეთ დროებით მთავრობასაო.

### თავ. კრაპოტკინის სიტყვა.

თავადი კრაპოტკინი, სრულიად რუსეთის სამეურნეო პალატის ცხენების მომშენებელთა და სხვა ყოველგვარი სამეურნეო საპროფესიო კავშირების სახელით აცხადებს, რომ იგი ემხრობა კაპაცინის დეკლარაციას და განმარტავს, რომ სასურსათო კომიტეტების მოქმედებით და განკარგულებით ულუკმო პურიდ რჩება მრავალ-რიცხოვანი კლასი მოსამსახურეთა სასოფლო მეურნეობაში. საჭიროა აღდგენა შინა საერობო მშვიდობისყოფისათ.

### ბანკებისა და ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენელთა სიტყვები

საადგილ-მამულო ბანკების წარმომადგენელი ოზეროვი ამბობს, რომ ამ საათში დრო არ არის სოციალურ ექსპერიმენტებისთვის და ამტკიცებს, რომ მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობაში ატარებენ ეკონომიურ დამარცხების პოლიტიკასაო. საჭიროა წარმოების აღდგენა, თვითეული ჩვენგანი უნდა თავის „პოსტზე" იდგესო.

### რიაბუშინსკის სიტყვა.

რიაბუშინსკი აცხადებს, რომ მთელი ვაჭრობა-მრეწველობის ქვეყანა ერთსულოვნად მიეგება მოძულებული სამეფო ხელისუფლების გაუქმებას. წარსულის დაბრუნება შეუძლებელია. სავაჭრო-სამრეწველო ქვეყანა მიესალმება რესპუბლიკურ წეს-წყობილებას, ხოლო ახლა მოწადინებულია, რომ დროებითი მთავრობა მოსილი იყოს სრული ხელმწიფებით, იყოს მამაცი და იმავე დროს მშვიდი. მოჰყავს მაგალითები იმისა, რომ ვაჭრობა-მრეწველობა მძიმე გარემოებაშია და თვით მთავრობაც ხელს უწყობს, რომ სული მოკვდეს, წინააღმდეგი ვარ პურის მონოპოლიის შემოღებაზეო. რიაბუშინსკი აღნიშნავს: მართალია მუშა კლასი მეტად იტანჯა, მაგრამ ეხლა იგი ბატონია. ვაჭრობა-მრეწველობა ძველ მთავრობის დროს დიდ ტანჯვას განიცდიდა. ვაჭარ-მრეწველებს არ შეეძლოთ თავიანთი მოქმედება ევროპიულ ფარგლებში განევითარებინათ. მას ხელს უშლიდნენ, და ამიტომ ვაჭარ-მრეწველნი ძველ მთავრობის დამხობას ხელს უწყობდნენ, მაგრამ ამ სასურველ ხანაშიც ვაჭრობა-მრეწველობა ჯერ კიდევ სწორე გზაზე არ შემდგარა და მრეწველნი ელიან, როდის ჩაჯდება ყველაფერი თავის ჩარჩოში, რომ შესძლონ ომის დამთავრება, უცხოელების კაპიტალის მეტოქეობა.

### ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლების სიტყვა.

ვაჭარ-მრეწველთა ჯგუფის სახელით მოლაპარაკე კუტლერმა სახელმწიფო სათათბიროს წევრთა დეკლარაცია გაიზიარა. ორატორმა ეკონომიურ და ფინანსიურ საკითხებზე ლაპარაკით აღნიშნა რომ ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენლები ჰგრძნობდნენ ფინანსების მომავალ მწუხარე ბედს. მათ ამის გამო ფინანსების მინისტრიც გააფრთხილეს. ეხლა მრეწველები ნათლად ხედავენ რომ ფინანსების უწყება ჰგრძნობს მდგომარეობას და იმედი აქვთ, რომ შესაფერ ზომებს მიიღებენ.

დიტმარი აღნიშნავს რამოდენიმე კონკრეტიულ საშუალებას, რის საშვალებითაც დაავადმყოფებული სახელმწიფოს ორგანიზმის მორჩენა შეიძლება, მიუთითებს, რომ აუცილებელია კაპიტალისტები ჩაითრიოთ ვაჭრობა-მრეწველობაში, სიცოცხლე შთაბეროთ მრეწველთა ინიციატივას, მიიღოთ ზომები კლასთა ბრძოლის შესანელებლად. ორატორის სიტყვით, თუ ეს პირობები მიღებულ იქნება, მაშინ ყველა მრეწველი გაუწოდებს ხელს მთავრობას, ჯარს და გლეხობას და ყველა მათ, ვისაც ერთობითი ბრძოლა სწადია სამშობლოს საკეთილდღეოდ.

### ბუბლიკოვის სიტყვა.

ბუბლიკოვი ამტკიცებს, რომ ფინანსების ხსნა მსხვერპლით შეუძლებელია. მას უშველის მხოლოდ დინჯი, სწორად აწონილ-დაწონილი, რუსეთის ცნობაზე დაყრდნობილი ფინანსიური პოლიტიკა. მთელი რუსეთის მრეწველობა შეადგენს 5 მილიარდ მანეთს ანუ ეხლანდელი სამარცხვინო ღირებულობით რომ ვიანგარიშოთ—ერთს მილიარდს დოლლარს. გვეთხარით, რა მსხვერპლი უშველის რუსეთს, რომლის ვალი 1918 წლისათვის აუცილებლად მიაღწევს 60 მილიარდ დოლლარს?! საქმეს უშველის მხოლოდ ვაჭრობა-მრეწველობის შემოქმედება და ჩვენც მხოლოდ მას ამოძრავებას, მის შექმნას უნდა შევუდგეთ დაუყოვნებლივაო. ლვთით თათბირის მესამე დღეს ვაჭრობა-მრეწველთა კლასმა გაიგონა სიტყვა, რომელიც იწვევს მას დახმარებაზე და იმედი მაქვს, რომ გამოწვდილი ხელი ჰაერში არ დაეკიდება. ჩვენ გამლევთ ყველაფერს—ჩვენს ცოდნას და გამოცდილებას, რომ დავიწყოთ ეს შემოქმედებითი მუშაობა საყვარელ სამშობლოს სასარგებლოდ. (მარჯვნიდან ტაში. ბუბლიკოვი და წერეთელი ერთმანერთს ხელს ართმევენ, კრება დიდ ოვაციას უმართავს მათ).

### სამხრეთელ ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლის სიტყვა.

ხოკოლსკიმ, სამხრეთელ ვაჭარ-მრეწველთა ორგანიზაციების ბიუროს სახელით, აღნიშნა, რომ მომენტის მთავარი მოთხოვნილება—რუსეთის ყველა კლასების, ჯგუფების და ერების საერთო ეროვნულ ლტოლვილებათა ნიადაგზე გაერთიანებაა.

### მეადგილმამულეთა კავშირის წარმომადგენელ მელნიკოვის სიტყვა.

სრულიად რუსეთის მეადგილ-მამულეთა კავშირის სახელით მელნიკოვმა ილაპარაკა. მან განაცხადა: კავშირი მზად არის ყოველივე მსხვერპლისთვის და საჭიროდ სცნობს მიწის მსხვილ მესაკუთრეთა ადგილ-მამულის ჩამორთმევას. მიწის მესაკუთრეებად უნდა ჩაითვალნენ არა მარტო დიდ ადგილ-მამულების მესაკუთრენი, არამედ მთელი კლასი გლეხობისა. მიწის მესაკუთრენი დაემორჩილებიან ყველა საკანონმდებლო აქტებს. ისინი წინააღმდეგნი არიან მხოლოდ დამფუძნებელ კრებამდის მიწის საკითხის გადაწყვეტაზე, რაც უნდა მოითხოვოს დამფუძნებელ კრებამ. აცხადებს მელნიკოვი—ჩვენ ურიგდებით, მხოლოდ მთელი ჩვენის არსებით ვეწინააღმდეგებით ჩერნოვისებურად მიწის საკითხის გადაწყვეტას. (ტაში მარჯვნივ, მარცხენა მხარე ოვაციას უმართავს ჩერნოვს.

### პროფესიულ კავშირთა წარმომადგენელ გრინევიჩის სიტყვა.

სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა კონფერენციის სახელით, გრინევიჩი, იზიარებს ჩხეიძის სიტყვას, რაც მარცხნივ ტაშს იწვევს. გრინევიჩი ესალმება აგრეთვე ბუბლიკოვის მოწოდებას და აგონებს თათბირს, რომ მას ეკუთვნის თებერვლის 21 დღის რევოლიუციონური ინიციატივა. ბუბლიკოვმა, თავის დეპეშით, რომელიც რკინის გზის მოხელეთ გამოუგზავნა, რუსეთის რევოლიუციის ისტორიაში აღბეჭდა თავისი თავი. (მქუხარე ტაში ბუბლიკოვის მიმართ). მაგრამ ბუბლიკოვის კეთილშობილურ მოწოდებასთან ჩვენ გვესმის სიტყვა მის ამხანაგთაგან რიაბუშინსკისა. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს აგრეთვე ამ მოკლე ხანში დამთავრებულ ვაჭარ-მრეწველთა და საზოგადო მოღვაწეთა ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვები. დასასრულ გრინევიჩი სალამს უძღვნის თავგანწირვის მოწოდებას და აღნიშნავს, რომ პროფესიულ და სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებმა უკვე შესაფერი ფხა გამოიჩინეს სამშობლოს დაშლა დარღვევასთან ბრძოლაში.

### რიაზანოვის სიტყვა

ინტერნაციონალისტებად წოდებულ მუშათა პროფესიურ კავშირთა წარმომადგენელი რიაზანოვი აცხადებს, რომ ინტერნაციონალისტი მუშები სავსებით ემხრობიან იმ პოლიტიკურ პროგრამას, რომელიც წარმოადგინეს მუშათა და სალდათთა საბჭოებმა (ტაში მარცხნიდან). მე არა მწამს შეძლებულთა კლასების გულახდილობა თუმცა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს ბუბლიკოვმა და წერეთელმა, მე მაშინაც არ ვირწმუნებ, რომ რიაბუშინსკი და ჩხეიძე გადაჰხვევნოდნენ ერთმანეთს (სიცილი), შემდეგ რიაზანოვს მოჰყავს ამგვარი საფრანგეთის რევოლიუციიდამ, როდესაც ორი ნაწილი ბურჟუაზიისა, ერთმანეთის გადაკოცნის შემდეგ, უსასტიკესად დაესხა ერთმანეთს. შემდეგ რიაზანოვი პროტესტს აცხადებს როდიჩევის იმ სიტყვებზე, რომლებითაც იგი ამტყუნებდა მშრომელ ხალხს, რომ იგი გატაცებულია გამდიდრების ლოზუნგითაო. თუ დაეცა შრომის გამომავლობა, ამას მიზეზი არის თვით მუშა კლასის გამოფიტვა და ამიტომ გაფრთხილდით ხელი არ შეახოთ მუშათა ორგანიზაციებსა ზურგს უკან თუ ფრონტზეო, თორემ ცუდათ წავა საქმეო (ტაში, ხმაურობა).

### ჩურკინის სიტყვა

პროფესიონალ კავშირების წარმომადგენელი ჩურკინი იცავს მუშა ხალხს მათდამი გამოთქმულ საყვედურებისგან, რომ, ვითომც, თავის ვიწრო კლასიური ინტერესებისთვის იგი ივიწყებდეს საერთო ნაციონალურ ინტერესებს და ამტკიცებს, რომ რვა საათის სამუშაომ არა კი დასცა მუშაობის გამომავლობა, არამედ, პირიქით, გაადიდა იგიო: კლასიური ბრძოლა არ კი ამცირებს შრომის გამომავლობას, პირიქით, ხელს უწყობს მასო...

### გუჩკოვის სიტყვა

სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის სახელით გუჩკოვი გაახსენებს კრებას ყველა იმ საქმეს, რაც კი გააკეთა კომიტეტმა ქვეყნის დაცვისთვის. მე მრწამსო, რომ თავის დროზე ისტორია მადლობით მოიხსენიებს ყველა იმ ბუმბერაზ საქმეებს, რომელიც გააკეთეს რუსეთის მრეწველებმა სამშობლოს დაცვისათვისო. რაც შეეხება ჩვენი ეკონომიური ცხოვრების აწეწვას და რღვევას, ეს სავსებით მიეწერება იმას, რომ დღევანდლამდე ვერ მოვახერხეთ სახელმწიფოს ცენტრალი მთავრობის შექმნა, რომ ამაოდ ცდა რასმე გახდეს ერთმხრივანი დემოკრატიული მთავრობაო. მხოლოდ ფართო ნაციონალური მთავრობა შეიცავს ყველა ელემენტებს სახელმწიფოებრივ ხელმწიფებისაო.

ბურჟუაზიის სახელით გუჩკოვი აცხადებს: ჩვენ გამოვალთ თქვენთან საერთო მუშაობაზე და საერთო მსხვერპლზე. მაგრამ მსხვერპლი უნდა ეწირებოდეს არა კლასთა ბრძოლას არამედ სახელმწიფოს.

### ნაგაევის სიტყვა

კერენსკი აცხადებს, რომ სურსათის და კოოპერატივების წარმომადგენლებმა თავიანთი დროის რამოდენიმე ნაწილი ყაზახთა სექციის წარმომადგენელს რუსულ-ნეღაევს დაუთმეს. (ყარაულოვი ადგილიდან „მან გუშინ განაცხადა, რომ ყაზახთა წარმომადგენელი აღარ არის". მეორე ხმა „ის აღარ არის მათი წარმომადგენელი, ვინაიდან სახალხო წარმომადგენელია". ტაში. ხმები „ყარაულოვი ჩუმად". ყარაულოვი—„მე არავისი არ მეშინია, ნუ სწუხდებით".) კერენსკი. „სახელმწიფო სათათბიროს წევრო ყარაულოვო მოგიწოდებთ წესიერებისაკენ და გთხოვთ ორატორებს ნუ ეკამათებით. ყარაულოვი. „ვისმენ". ნაგაევი იწყებს სიტყვას იმით, რომ საჭიროდ სცნობს უპასუხოს კალედინს. ყაზახთა ხეიმის სახელით. ნაგაევი წინააღმდეგია ყაზახთა ხალხიდან ჩამოშორების. ნაგაევი იგონებს მკათათვის დღეებს, როდესაც ყაზახებმა თავისი სისხლით იხსნეს რევოლიუცია. ნაგაევი აცხადებს, რომ ხმები ვითომც ყაზახებს სურდეთ საბჭოების დათხოვა ჭორებია. ნაგაევი კვლავ აცხადებს, რომ ყაზახები ხალხთან ერთად იბრძვიან და ნუ ჰყობთ მათ ხალხიდანო. კერენსკი აცხადებს, რომ ორატორებმა კრებას უნდა მიმართონ და არა ცალკე პირებს. (ხმები ალაგიდან: „ვაშა, რევოლიუციურ მშრომელ ყაზახობას; ხმა ლოჟიდან: გერმანული მარქსიზმი"—დიდი ხმაურობა. სიტყვები არ ისმის, ხმები საპროტესტო, „ჩუმად"—„ჯაშუში").

### ინციდენტი.

კერენსკი, (ლოჟისკენ) აცხადებს: „წინადადებას ვაძლევ რუსეთის ლაშქრის შეურაცხმყოფელს, განაცხადოს ვინ არის იგი". ხმები: ეგ ყაზახობის წარმომადგენელი არ არის". ხმაურობა, აურზაური, ხმები: „მშიშარაა". კერენსკი აცხადებს, რომ ესაული ნაგაევი და აქ დამწრე რუსი ერი კმაყოფილნი არიან მშიშარის სიჩუმით (ტაში). კერენსკი აცხადებს: „ეპიზოდს ამოწურულად ვთვლი". (ტაში, ხმაურობა. ხმები: „მართალია") ნაგაევი სიტყვას განაგრძობს მას მქუხარე ტაშით აცილებენ.

### სასურსათო კომიტეტების წარმომადგენელ კარცევის სიტყვა

კარცევი ჩხეიძის სიტყვას იზიარებს. ორატორი აღნიშნავს, რომ სასურსათო კომიტეტები დეპუტატთა საბჭოების დაუხმარებლად საქმეს კეთილად ვერ აწარმოებდნენ. მისი აზრით, გლეხებს უფლება აქვთ მოითხოვონ ყოველგვარი საჭირო მექარხნეებთაგან. ორატორი დაჟინებით მოითხოვდა სურსათის მიწოდების ერთ გეგმის გატარებას, პირველ საჭიროების საგნებზე მტკიცე ფასების გარდაწყვეტას, მანუფაქტურის და რკინის მონოპოლიის შემოღებას, პურის მონოპოლიის შენახვას და სურსათის მიწოდის საქმეთა სასურსათო კომიტეტების და კოოპერატივების ხელში გადაცემას.

### ინციდენტი ნაგაევის სიტყვის გამო.

15 წუთის დასვენების შემდეგ თათბირი ხელ ახლა განახლდა. მინისტრ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ის, ვინც შეურაცხმყოფელ სიტყვებს ისროდა ნაგაევის სიტყვის გამო,—მთავარ შტაბის პოლკოვნიკი სახაროვი არისო. მას თავის-თავი დაუსახელებია,—განაგრძობს კერენსკი—მაგრამ ხმაურობის გამო ჩვენ ვერ გავიგეთო. კერენსკი შეეცადა გაუგებრობის განმარტებას. სახაროვმა განაცხადა: „მე მზად ვარ ესაული ნაგაევი დავაკმაყოფილო". (ტაში მარჯვნივ. ხმები მარცხნივ: ომის დროს დუელი აკრძალულია. მაგისთანებს არ ეხსნებიან; ნუ შეურაცხყოფთ გიორგის კავალერს. თავმჯდომარე წესრიგის დაცვას მოითხოვს).

### ბერკენჰეიმის სიტყვა

უკანასკნელად ლაპარაკობს კოოპერატორი ბერკენჰეიმი. აცხადებს, რომ კოოპერაცია უერთდება რევოლიუციურ დემოკრატიის დეკლარაციას (ტაში). ბერკენჰეიმი ხაზს უსვამს კოოპერატივის [illegible] რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. კოოპერაციის ძალას სავსებით ვერ ხმარობს დღევანდელი მთავრობა. აუცილებელია პურის მონოპოლია, მაგარი ფასები და შრომის ბეგარა.

### კერენსკის სიტყვა

უკანასკნელად ლაპარაკობს კერენსკი. ის ამბობს—ხურავს-რა თათბირს, დრ. მთავრობა ფიქრობს, რომ თუ ახალი კონკრეტული შედეგები არ მოჰყვა თათბირმა, მაინც მისი მნიშვნელობა დიდია. მთელი რუსეთის მოქალაქენი, ყველა კლასების, პარტიების და ეროვნები ერთად შეიკრიბნენ და თავისუფლად აღიარეს რა ესაჭიროება სახელმწიფოს, რა იხსნის მას დაღუპვისაგან. მივაღწიეთ ერთგვარ შეთანხმებას. არის ისეთი წუთები, როდესაც ერის სახელით უნდა დავივიწყოთ თავისი და კლასობრივი. დროებითმა მთავრობამ მიიღო მომენტური სურათი პოლიტიკურ სულის-კვეთებათა. ჩვენ ის შეხედულება გამოვიტანეთ, რომ ყოველივე მთავრობის მიზანი არის შერიგება მათი, ვისი შერიგებაც შესაძლებელია. ჩვენ მოვედით აქ შემდეგი სიტყვებით — სახელმწიფო თხოულობს წეს-რიგს, მსხვერპლს და შრომას. მე მწამს, რომ ვისაც ძვირად უღირს სამშობლო და ვისაც სულს უხუთავს ფიქრი სამშობლოს დამცირებაზე, ის ძალას მოიკრებს და სამშობლოს დაეხმარება. დროებითი მთავრობა ფიქრობს, რომ მართვა-გამგეობა ხალხის ნებაზე უნდა იყოს აგებული. შემდეგ მინისტრ-თავმჯდომარე უპასუხებს მათ, ვინც ამტკიცებს, რომ დროებითი მთავრობა მიიყიდა ბურჟუაზიას, რომ დროებითმა მთავრობამ გაყიდა ხალხის და რევოლიუციის ინტერესები. ვინც ამ ჭორებს ამტკიცებდა, ჩვენ მათ ღირსეული პასუხი მივეცით, როდესაც აუცილებელი იყო მათი ამბოხების გაქრობა. შემდეგ კერენსკი მემარჯვენეთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ დროებითი მთავრობა არავითარ გარეგნულ ძალას არ ემორჩილება გარდა ხალხის სურვილისა. ასეთი მთავრობა ყოველთვის პოვებს წინააღმდეგობას, ვინაიდან თვითეული კლასი, თვითეული ჯგუფი წინააღმდეგია ამა თუ იმ სურვილთა. თათბირზე წარმოთქმული სიტყვები მხედველობაში იქნება მიღებული დრ. მთავრობის მიერ. ჩვენ გვითითებენ შეცდომებზე და ცოდვებზე, მაგრამ პირველ და დღევანდელ დრ. მთავრობას არავისი არ ეშინია.

თანამედროვეთა სასამართლოს გარდა არსებობს ისტორიის სამართალი. ომის სხვათა ცოდვებს ჩვენ თავზე ვღებულობთ და ვამბობთ:—წყეულიც იყოს ის, ვინც სთქვას ომი შესწყვიტეთ ეხლა. (მხურვალე ტაში). აქ ლაპარაკობდენ სტოლიპინზე, მაგრამ ხომ იცით, სტოლიპინი უმრავლესობათა სურვილს უმორჩილებდა თავისას. და პროტესტს რკინით და სისხლით ანელებდა. ეხლა კი მთავრობა ახორციელებს უმრავლესობათა სურვილს უმცირესობათა აზრის წინააღმდეგ. დროებითი მთავრობის საჭირბოროტო საკითხს შეადგენს ჯარის განახლება, ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მეურნეობის მოგვარებას. დღე როგორც სამხედრო მინისტრი შემიძლია განვაცხადო, რომ დროებითი მთავრობა სწუხს, რომ ჯარში შეიჭრა ყოვლად დაუშვებელი პოლიტიკური პროპაგანდა. ჩვენთვის ერთნაირად საყურადღებოა, თუ რა გაჭირებას განიცდის ჯარის კაცი თუ აფიცერი. დრ. მთავრობის და სამხედრო მინისტრის მოვალეობას შეადგენს, შექმნას ისეთი პირობები, რომელშიაც არ შესუსტდება ჯარის სამხედრო ძლიერება. მე უნდა მოვაგონო მათ, ვინც მოითხოვს ჯარის ერთნაირ გარდაქმნას, რომ მათ წარსული არ იციან, ან დავიწყნიათ. მათ უნდა იცოდენ, ფრონტის კომისრები თავიანთი ნებით არ მოსულან, არამედ იგინი აუცილებელი იყვნენ.

ხურავს რა დღევანდელი სახელმწიფო თათბირს, დროებითი მთავრობა ყველა თქვენგანს მადლობას გიძღვნით, რომ გულახდილად გამოსთქვით თქვენი სურვილი სამშობლოს დახსნისთვის. შეიძლება ყველა აქ გამოთქმული იმედები არ გამართლდეს, შეიძლება სახელმწიფოს არ ეყოს ძალა, რომ მონახოს ხსნის ძალა, მაგრამ ყველასთვის მოსაგონებლად—ის დარჩება, რომ ამ ტანჯვით აღსავსე მომენტში რუსის მოქალაქეებმა ერთი-მეორეს ხელი გაუწოდეს და კლასიური ინტერესები დაივიწყეს. ეხლა კი ნება მომეცით დრ. მთავრობის სახელით ვღიარო, ჩვენი სამშობლო არასოდეს არ დაიღუპება, ვერავინ ვერასოდეს თავისუფლებას ვერ წაგვართმევს. ამ სიტყვებზე თათბირის წევრები სდგებიან. ისმის ხმები „გაუმარჯოს რევოლიუციას", „გაუმარჯოს რუსეთის რესპუბლიკას" „გაუმარჯოს კერენსკის".

სხდომა იხურება ღ.მის 1 საათზე და 20 წ.

# მოსკოვის თათბირის გამო

**მინისტრების წასვლა მოსკოვიდან.**

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 15. 20 საათზე და 35 წუთზე ჩქარი მატარებლით პეტროგრადისკენ გაემგზავრნენ: კერენსკი, ავქსენტიევი და ბრეშკო-ბრეშკოვსკაია. კერენსკის მოსკოვის საოლქო ლაშქრის უფროსმა და მოსკოვის კომისარმა გააცილეს. ხალხმა დიდი ოვაცია გაუმართა კერენსკის. 21 საათზე და 45 წუთზე მოსკოვიდან დელეგატების მატარებელი დაიძრა. ამ მატარებლით ჩხეიძე წავიდა. გზათა მინისტრი იურენევი მოსკოვიდან 22 საათზე და 50 წუთზე გავიდა.

**ინგლისელების აზრი თათბირზე.**

**ლონდონი.** მარიამობისთვის 16. „ვესმინსტერ-გაზეტ"-ი კერენსკის სიტყვის გამო სწერს: „მის სიტყვაში არ არის არც სენტიმენტალობა, არც ჰუმანიური იდეალიზმი. კერენსკი ლაპარაკობს ისე, როგორც უფლების მქონე კაცი. წესრიგის აღსადგენად თვით რუსეთის რევოლუციამ უნდა გამოიჩინოს ძალა". „ნვინგ-სტენდერდ"-ი სწერს: „არა გვგონია, რომ მოსკოვის თათბირმა რუსეთის მდგომარეობა გადასწყვიტოს. რუსეთი ეხლა ვალს იხდის იმის გამო, რომ უკიდურეს მიმდინარეობის წარმომადგენლები და შეილენებენი დაუშვა საქმეში; მათ კი რევოლუცია დარღვევის გზაზედ დააყენეს".

**ფრანგული გაზეთების აზრი.**

**პარიზი.** მარიამობისთვის 15. ფრანგული გაზეთები მოწონებით აღნიშნავენ მინისტრ-თავმჯდომარის კერენსკის განცხადებებს და უსურვებენ გამარჯვებას მის პოლიტიკას, მაგრამ უმატებენ, რომ საჭიროა ვიმსჯელოთ ფაქტებით და აქტების იმ შედეგებით, რომლებსაც ეხებოდნენ ორატორები თავიანთ გამოსვლებში მოსკოვის თათბირის პირველ სხდომაზედ.

# რევოლუცია

## დეპეშები

**მოკავშირეთა სოციალისტურ კონფერენციის რეზოლუცია.**

**ლონდონი.** მარიამობისთვის 16. მოკავშირეთა სოციალისტურ კონფერენციამ (55 ხმით 4 წინააღმდეგ) უარჰყო ის რეზოლუცია, რომელიც გერმანელების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებაზე უარს აცხადებს გერმანელების მიერ დაჭერილ ადგილების დაცლამდე.

**მინსკის გიმნაზიის დაბრუნება.**

**მინსკი.** მარიამობისთვის 16. ნება დართეს 1915 წელს სხვაგან გადატანილი ვაჟთა გიმნაზია კვლავ მინსკში დაბრუნდეს.

**მუშათა საბჭოს წევრების ჯამაგირი.**

**ხარკოვი.** მარიამობისთვის 17. დონეცის მხრის მემადნე მრეწველები აპირობენ ჯამაგირის ძლევა მოუსპონ დეპუტატების საბჭოს მუშა-წევრებს.

**ნეკრასოვი დაბრუნდა პეტროგრადს.**

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 17. როცა ნეკრასოვმა, მოსკოვის თათბირიდამ დაბრუნების შემდეგ, ინახულა საფინანსო უწყების უმაღლესი პირნი, ლაპარაკში ხაზი გაუსვა იმ აზრს, რომ საჭიროა სახელმწიფო ხარჯების შემცირებაო.

**ქალი მინისტრის ამხანაგად.**

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 16. მთავრობის ბრძანებით სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგად გრაფინია პანინა დაინიშნა.

**მენდლების სახის შეცვლა.**

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 16. დროებით მთავრობამ დაადგინა შესცვალოს სახე იმ მენდლებისა, რომლებზედაც ნიკოლოზია გამოხატული. გიორგის ჯვრების სახე არ შეიცვლება.

# საეკლესიო ყრილობა

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 16. წირვის შემდეგ მაცხოვრის ტაძარში გაიხსნა საეკლესიო ყრილობა. სარწმუნოების მინისტრმა კარტაშევმა მისალოც სიტყვაში სთქვა:—დროებითმა მთავრობამ დამავალა ვსთქვა, რომ ის საეკლესიო ყრილობას უყურებს, როგორც პასუხისმგებელ ორგანოს საეკლესიო კანონმდებლობისას. დრ. მთავრობამ დაადგინა მიეცეს საშუალება ადგილობრივ ყრილობას შეიმუშაოს ეკლესიის თავისუფალი თვითმართველობის კანონპროექტი და რუსეთის დებულებებში შეიტანოს.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს ყოფილ ეგზარხოსმა პლატონმა, სინოდის სახელით მოსკოვის მიტროპოლიტმა ტიხონმა. როძიანკომ ილაპარაკა ს. სათათბიროს სახელით და აღნიშნა, რომ აზრი საეკლესიო ყრილობის მოწვევის ს. სათათბიროში დაიბადა. არმიის და ფლოტის სახელით ილაპარაკა დეკანოზმა შაველსკიმ. ილაპარაკა აგრეთვე ყოფილმა ობერ-პროკურორმა ლვოვმა. მიულოცეს აგრეთვე მოსკოვის ქალაქის თავმა რუდნევმა. მოსკოვის საეკლესიო განათლების წრის წარმომადგენელმა პროფ. გრომოგლასოვმა. სასულიერო აკადემიის სახელით პროფ. ზაოზერსკიმ და სხვა.

# მოსკოვის რკინის გზათა გაფიცვა

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 15. (დაგვიანებულია). ორთქლ-მავალთა ბრიგადების დაქადებაზე, რომ ისინი გაიფიცებიან, თუ მთავრობა არ დააკმაყოფილებს მათს მოთხოვნილებას, გზათა მინისტრმა იურენევმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს: ვიცი, რომ პლეხანოვის მიმატებასაც შემდეგ, ორთქლ-მავალთა ბრიგადები, შედარებით შრომის მსგავს ნაწილებთან, ხალხი კვალი გარემოებაში დარჩნენ, მაგრამ მათი მოთხოვნანი, რომელთა საერთო ჯამი უდრის რამდენიმე ას მილიონს, აღემატება ჩვენი ხაზინის შეძლებას და გამოიწვევს მდგომარეობის გართულებას, აწეწვას. პლეხანოვის ყოფილი კომისია გაარჩევს მათს მოთხოვნებს თანადასწრებით რკინის გზაზე მოსამსახურეთა და მუშათა და დააკმაყოფილებს კიდეც ზოგიერთ სამართლიან მოთხოვნებს, მაგრამ გაფიცვებით ქადილი, ისიც სახელმწიფო თათბირის დღეს, როდესაც გაისმის ყოველი მხრიდან მსხვერპლის მოტანაზე სამშობლოსათვის, ქადილი, რომ „უპუროდ დავტოვებთ ქალაქებს და ჯარსაო", ყველა ეს გაახარებს მხოლოდ კონტრ-რევოლუციონერებს. მე მივმართე და კვლავაც მივმართავ სრულიად რუსეთის რკინის გზის კრებას, რომლის ნებადაურთველად გამოცხადდა ეს გაფიცვა და იმედი მაქვს, რომ იგი სასტიკად დაჰგმობს იმ ხალხის ქცევას, რომლებმაც არ იციან რას იქმონან. მინისტრმა დაათავა სიტყვა მის მოქმედებათა დროებითი მთავრობისგან მოწონებულ სიტყვებით: „მონიჭებულ ჩემდამი ხელმწიფების ძალით მე დავიცავ უმთავრეს ნერვებს სახელმწიფოს მექანიზმისას გიჟურ ცდისაგან დაარღვიონ იგი მაშინ, როდესაც სამშობლო მიმდგარია სიკვდილზე. მე შევასრულებ ჩემს ვალს".

# ეროვნული საკითხი

## ფინლიანდია და რუსეთი

### სეიმში დეპუტატები არ შეუშვეს.

**ჰელსინგფორსი,** მარიამობისთვის 17. დღის პირველ საათზე სეიმის მახლობელ ქუჩებში თავი მოიყარა საკმაოდ დიდძალმა ხალხმა. წესიერებას იცავენ მილიციონერები. დანიშნულ ვადაზე მოვიდნენ დეპუტატები, ჟურნალისტები და კანცელარიაში მოსამსახურე პირნი, მაგრამ არავინ შეუშვეს დარბაზში, რომლის კარებთან დაყენებულია ყარაული. მოვიდა 100-ზე მეტი დეპუტატი, რომელთაც სურდათ სეიმში შესვლა. სოციალ-დემოკრატების გარდა, მათ შორის არის სხვა ფრაქციათა წარმომადგენელნიც. არავითარი გაუგებრობა არ მომხდარა, არავისგან პროტესტი არ გამოცხადებულა. ორი საათისთვის ხალხმა დაიწყო კლება. მარინის სასახლეში ხვალე დღის განმავლობაში იქნება სხდომა იმ კომიტეტისა, რომელიც ამოირჩია გუშინ დეპუტატთა საბჭომ. გადასწყვიტა ნება არ მისცეს გამოსვლებისა მეზღვაურებს და ჯარის-კაცებს სეიმის გახსნის ნება-დაურთველობის გამო. იმედი აქვთ, რომ დღე მშვიდობიანად გაივლის. ტალმანმა მინერმა 1 საათზე ინახულა გენერალ-გუბერნატორი და პროტესტი განუცხადა დეპუტატების სეიმში არ შეშვებაზე, ეს უკანონობააო; სტახოვიჩმა უთხრა, თქვენს პროტესტს დროებით მთავრობას ვაცნობებო.

**პროტესტი მთავრობას.**

**ჰელსინგფორსი.** მარიამობისთვის 16. რაკი სეიმის შენობაში დეპუტატები არ შეუშვეს, ისინი საეროზო მოხელეთა ძველ შენობაში შეიკრიბნენ. ტალმანმა განუცხადათ გენერალ-გუბერნატორთან ყოფნა. დეპუტატებმა ტალმანის პროტესტი, სეიმზე ძალადობის გამო, გაიზიარეს. სოციალ-დემოკრატების ფრაქცია პროტესტს უცხადებს მთავრობის მოქმედებას და აგრეთვე იმ ფინლიანდიელებს, ვინც მთავრობას მხარს უჭერდნენ.

## უკრაინა და რუსეთი

**სრულიად უკრაინის კოოპერატივთა კრება.**

**კიევი.** მარიამობისთვის 17. სრულიად უკრაინის კოოპერატივთა კრება გადაიდო 16 ენკენისთვემდის.

# ომი და ზავი

## დეპეშები

**რუსეთის შტაბის ცნობა**

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 17. **დასავლეთის ფრონტი.** სროლა გაცხოველდა უფრო ვილნოს მიმართულებით.

**რუმინეთის ფრონტი.** მტერმა შემოგვიტია სოლკას მიდამოებში, მაგრამ მოვიგერიეთ თოფისა და ტყვიის-მტყორცნელთა ცეცხლით. ოკნას მიდამოებში მტერმა რამდენჯერმე შემოგვიტია გროზესტის სამხრეთით, მაგრამ მოვიგერიეთ. ფოქშანის მიმართულებით, ირეშტის აღმოსავლეთით, მტერმა გამორეკა ჩვენი ნაწილები, ხოლო 16 მარიამობისთვეს დილით, როცა ბრძოლა განახლდა, ჩვენი ორი პოლკის უმეტესმა ნაწილმა მიატოვა პოზიციები და ჩრდილოეთისკენ წავიდა, ხოლო ერთი პოლკი სრულიად გაიფანტა. მიღებულია ზომები მდგომარეობის აღსადგენად, ბრძოლა გრძელდება.

**კავკასიის ფრონტი.** პენჯვინის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა დაიპყრეს ორი სოფელი ზერიბარის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ტყვეები წამოიყვანეს.

**საფრანგეთის შტაბის ცნობა.**

**პარიზი.** მარიამობისთვის 16. დღემ მშვიდობიანად გაიარა, იურტებიზში და მაასის ორივე ნაპირზე გაცხარებული სროლაა ზარბაზნებისა.

**ბელგეთის შტაბის ცნობა.**

**ჰავრი.** მარიამობისთვის 16. დიქსმიდეს სამხრეთით ჩვენმა მზვერავებმა წამოიყვანეს ტყვეები.

**ინგლისის შტაბის ცნობა.**

**ლონდონი.** მარიამობისთვის 16. უეცარი თავდასხმებით გუზოკურის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და ლანგემარკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა გაწმინდა მტრისაგან გამაგრებული პოზიცია.

**დაღუპული გემები.** საადმირალო იუწყება, რომ ერთი კვირის განმავლობაში ინგლისის ნავთსადგურში შემოვიდა 2.629, გავიდა 2680 და დაიღუპა 23 გემი.

**იტალიის შტაბის ცნობა.**

**რომი.** მარიამობისთვის 17. ვანნოიცის მთა-გორაზე უკუ-ვაქციეთ რა მტრის მოწინავე ჯარი, შევუტიეთ ძლიერ პოზიციებს გორიცის აღმოსავლეთით, წამოვიყვანეთ 1000 ტყვე და წამოვიღეთ რამდენიმე ტყვიის-მტყორცნელი.

## გერმანეთის საგარეო პოლიტიკა.

**სტოკჰოლმი.** მარიამობისთვის 15. ბერლინიდან მიღებულ ცნობებით შერნგარტმა რეიხსტაგის ახალ კომისიას საგარეო პოლიტიკის ისეთი პროგრამა ურჩია, რომელიც გერმანეთისთვის სასარგებლო ზავის შეკვრას ხელს შეუწყობს. ამ სასარგებლო ზავისთვის კი, მისი აზრით, საჭიროა რუსეთთან შეთანხმება, რადგან გერმანეთს არ ჰსურს, რომ პოლონეთი, კურლიანდია და ლიფლიანდია დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ერთეულებად გამოცხადდნენ, ვინაიდან მათ უკან უკმაყოფილო რუსეთი მოჰყვება და ისინი კი აგიტაციის ბუდეთ გადაიქცევიან. ბალკანეთის ახლად მოწყობა ავსტრო-უნგრეთთან, რუსეთთან და ბოლგარიასთან შეთანხმებით უნდა მოხდეს, რადგან მხოლოდ მაშინ ვეღარ ნახავს ინგლისი მოკავშირეს გერმანეთის წინააღმდეგ და მეზობლურ განწყობილებას დაიჭერს გერმანეთთან. მაშინ ბელგეთის საკითხიც ეხლანდელ მნიშვნელობას დაჰკარგავს.

## პაპის საზავო ნოტა და ვილსონი.

**ნიუ-იორკი.** მარიამობისთვის 16. აფასებს რა პაპის კეთილშობილობას ზავის საკითხის განმარტებაში ვილსონი ამბობს: „შეცდომა იქნება ამ ჟამად ამ გზაზე დავსდგეთ, როდესაც ვიციო, რომ ის მიზანთან ვერ მიგვიყვანს. ჩვენი პასუხი უნდა ემყარებოდეს ფაქტებს, ვინაიდან ჩვენ გვწადია არა მარტო ომის დაბოლოვება, არამედ ხანგრძლივი ზავიც. პაპა მიგვითითებს იმ მდგომარეობას, რომელიც ომამდე არსებობდა, ერთი მეორეს ვაპატიოთ დანაშაული და ხალხთან შეთანხმებით მოვახდინოთ იარაღის აყრა. ეს კი შეუძლებელი იქნება, თუ კი ძველ მდგომარეობასთან დაბრუნებას მაგარი ნიადაგი არ გვაიძულებს. ამის წინააღმდეგ ლაღადებს ომის მიზნები, დამოუკიდებელ ხალხთა განთავისუფლებლად, რომელთა წინააღმდეგ იბრძვის გერმანეთის ხალხი კი არა, არამედ გერმანეთის მრისხანე მბრძანებელი. ჩვენი მიზანია, ისე მოვაწყოთ საქმე, რომ დაჩაგრულ ერთა სვე-ბედი ხელახლად ამ ძალას არ ჩაუვარდეს ხელში. პაპის მოწოდება კი ადასტურებს ამ ძალის გამტკიცებას, მისი პოლიტიკის გაგრძელებას. ამას გარდა ჩვენ მივატოვებდით განახლებულ რუსეთს ინტრიგების და კონტრ-რევოლუციის ამარა. ვერავითარი ზავი ვერ შეჩერდება პოლიტიკურ და ეკონომიურ განსაზღვრულობაზე. ამერიკის ერს არავითარი რეპრესიები არა აქვს გერმანეთის ერის წინააღმდეგ, მაგრამ ფიქრობს, რომ ზავი უნდა ემყარებოდეს სხვა ხალხთა მიზნებსაც. ჩვენ არავითარ მატერიალ დაჯილდოებას არ ვითხოვთ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ გერმანეთის ხალხმა თავისი დანაშაულები ჩვენ მიმართ სხვა პაწია დაჩაგრულ ხალხთა სუვერენიტეტის აღდგენით უნდა გამოისყიდოს. ჩვენ ვერ ვერწმუნებით გერმანეთის მმართველთა სიტყვებს, თუ მათ გერმანეთის ხალხი არ დაადასტურებს. ჩვენ უნდა დავუცადოთ ცენტრალ სახელმწიფოთა ხალხის ახალი სურვილის გამოხატვას".

# უკანასკნელი დეპეშები

**სეიმი ძველ შენობაში შეიკრიბა და 44 ხმით—37 წინააღმდეგ, თავისი თავი კანონიერად გამოაცხადა.**

—

**გზათა მინისტრმა იურენევმა აცნობა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრ პროკოპოვიჩს, რომ სათბობ მასალის უქონლობის გამო შესაძლოა ამ კვირაში რკინის გზაზე მოძრაობა შესწყდესო.**

—

**პეტროგრადში, სუვორინის პროსპექტზე ბრბომ დემონსტრაცია გამართა. „ძირს ომი და კერენსკიო", ყვიროდა ბრბო. ვასილიევის კუნძულზე ვიღაც უცნობებმა მილიციონერებს სროლა აუტეხეს.**

# ქრონიკა

## თბილისი

◆ **სიონის ტაძარი,** სასულიერო უწყების გადაწყვეტილების თანახმად, ელექტრონით უნდა გაანათონ და ელექტრონის მავთული გაჰყავთ. მუშაობას ხელმძღვანელობს ელექტრო-ტეხნიკოსი დ. ზ. ხერხეულიძე.

◆ **კომისიის თავმჯდომარე.** ქალაქის საბჭოს სასურსათო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ი. ა. სტაროსელსკი.

◆ **კოოპერატივების გაჭირვება.** არსებული სამი კოოპერატივი—„შრომა", „დახმარება" და „მომხმარებელი" დიდს გასაჭირს განიცდიან ამ ჟამად. ამ კოოპერატივების წევრებად არიან მეეტლეები, რომელთაც 5000-მდე ცხენი ჰყავთ. კოოპერატივების დანიშნულება ის იყო და არის, რომ ცხენების საკვები მასალა მიეწოდებიათ წევრთათვის (ქერი, სიმინდი, ბზე და სხ.). დღიურად კოოპერატივებმა 3 ვაგონი ქერი უნდა მიაწოდონ წევრებს, მაშასადამე თვეში არა ნაკლებ 90 ვაგონისა. მაგრამ ეხლა ერთ ფუთსაც ვერ აწვდიან. საქმე ის არის, რომ თითონ კოოპერატივებს უფლება აღარ აქვთ თითონ შეიძინონ საკვები მასალა; ეს უფლება მათ ჩამოართვა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა ხოლო თითონ კომიტეტი-კი ვერავითარ საკვებს ვერ აძლევს კოოპერატივებს. მიმდინარე მარიამობისთვეში კომიტეტმა მხოლოდ 2 ვაგონი ქერი მისცა მათ. მარიამობისთვის პირველ რიცხვებში კოოპერატივებმა 20 ვაგონი ქერი შეისყიდეს ქართლში, მაგრამ კომიტეტმა ეს ქერი რეკვიზიციის წესით ჩამოართვა მათ და ვინ წაიღო იგი, ჯერ კიდევ არავინ იცის. დანამდვილებით ამბობენ, რომ „შრომა" ლიკვიდაციის მოხდენას აპირებსო.

◆ **შუამდგომლობა.** ომიანობისაგან დაზარალებულებზე მზრუნავი ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა კომიტეტი შუამდგომლობს ერობათა კავშირის წინაშე, რომ წმ. ნინოს სახელობის ლაზარეთი კომიტეტისაგან მიიღოს თავის მფარველობაში.

◆ **ჯარის კაცთა უწესოებანი.** მარიამობისთვის 16-ს ნავთლუღის სადგურში ყაზახებმა დაინახეს ღვინიანი ბოჭკა, მისცვივდნენ, გასტეხეს იგი და ღვინო ზოგი შესვეს და ზოგი დაღვარეს. მთვრალი ყაზახები ქალაქისაკენ წამოვიდნენ და ნავთლუღში რამდენიმე ალაგას უწესოება მოახდინეს. მილიციონერებმა და რამდენიმე სალდათმა, რომელნიც შემთხვევით წააწყდნენ უწესოებას, ძლივს ძლივობით დააწყნარეს მთვრალები და წესიერება აღადგინეს. იმავე დღეს ნავთლუღში ვლ. გუგუნაძის ბაღში შევიდა ხუთი სალდათი და პამიდორები დაგლიჯეს, ბაღის მეშემა 2 სალდათი დაიჭირეს და საკომისაროში გაგზავნეს. გადარჩენილი სალდათები თავიანთ ბინაზე მოვიდნენ და ამხანაგებს უთხრეს, რომ მებაღეებმა სცემეს 2 ჩვენს ამხანაგს და მტკვარში გადაჰყარესო. 300-მდე სალდათი ახლო-მახლო ბაღებს შეესია და ბაღების განადგურება დაიწყო. ბრბომ მიატანა გუგუნაძის ბაღს; მისცვივდნენ გუგუნაძეს და მის ცოლს და შეუბრალებლად დაუწყეს ცემა. კომისარმა მაჭარაშვილმა გაიგო-რა ეს ამბავი, ხელად აფრინა მილიციონერები და სალდათები, რომელთაც ძლივს-ძლივობით გადაარჩინეს მებაღე და მისი ცოლი.

◆ **სასურსათო კომიტეტში.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა: 1) მეპურეებს ფქვილი აღარ მისცეს ბულკების გამოსაცხობად, თეთრიც და შავი ფქვილიც მხოლოდ მეპურეებს აძლიოს პურისათვის. 2) გააუქმოს ნიხრი შეშაზე და ნახშირზე და ამ საქონლის შეძენა თითონვე იკისროს ყველა მცხოვრებთათვის, ვინაიდან საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის მიერ გაგზავნილი კაცები შეშის ყიდვას ვერ ახერხებენ სოფლებში; 3) წინადადებით მიმართოს ქალაქის გამგეობას მოახდინოს განკარგულება, რომ ბაზარს თვალ-ყურს ადევნებდნენ, რადგან წინანდელი ბაზრის მეთვალყურენი სრულებით არას აკეთებდნენ; 4) ჯარში გასაყვანთათვის შეღავათის მიმცემ კომიტეტში თავის წარმომადგენლად აირჩიოს ბ-ნი რამიშვილი, ხოლო ამის მოადგილედ ბ-ნი მაკაროვი.

◆ **გერმანე გოგიტიძემ** უკვე მიიღო მოსკოვიდან გადასაღები ლენტები ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოების „ქრისტინესი" და ამ დღეებში რეჟისორ წუწუნავას დახმარებით დაიწყებს ადგილობრივ მის გადაღებას. ორი ნაწილი იქნება გადაღებული გურიაში, სადაც ავტორს მოთხრობის გმირები ჰყავდა სახეში და ორი ნაწილიც ქ. თბილისში. სურათი უჯდება გამომცემელს 20000 მანეთამდე.

◆ **ქურდობა.** მარიამობისთვის 15-ს ღამის 10 საათზე, თბილისში მიხეილის პროსპექტისა და კრილოვის ქუჩის შესართავთან მილიციონერებმა დააკავეს უცნობი კაცი, რომელსაც ხელში ბოხჩა ეჭირა. ბოხჩაში აღმოჩნდა 10,000 მანეთის ვერცხლეულობა. უცნობი კაცი გამოქცეული სალდათი ყოფილა, გვარად კონსტანტინოვი და ნივთები მოუპარავს კრილოვის ქუჩაზე ვინმე ზაიტო საბედოვის სახლში. კონსტანტინოვს 5 კაცი სხვები ჰყოლია ამხანაგებად და ხუთივენი შეიპყრეს.

◆ **შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ქალაქის ახალ საბჭოს ანგარიშის „ინციდენტის" ნაწილში შეცდომა შეიპარა დაბეჭდილია:—**კარაჯიანი** უნდა იყოს **კარჩაკიანი.**

## კავკასია

◆ **ერობათა კავშირის** ამიერ კავკასიის განყოფილების თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ იქნა ა. დ. ციციშვილი და ბ. ი. ლესინი, მდივნად ფრიზენი.

◆ **ა. პ. სოლოვიოვის გარდაცვალება.** პიატიგორსკში გულის სიგანიერით გარდაიცვალა ცნობილი მეფუტკრე და შინაური ფრინველების მომშენებელი ა. პ. სოლოვიოვი. მისი წიგნი „კავკასიის მეფუტკრეობა" ცნობილია როგორც ჩვენში, აგრეთვე რუსეთშიაც. გარდა ამისა სოლოვიოვმა პირველმა გაავრცელა ჩვენში კარგი ჯიშის შინაური ფრინველები.

## პროვინცია.

◆ **გორი.** ხვალ მარიამობისთვის 20, ქ. გორში ე. თარხან-მოურავის ჭრაკერვის სკოლის სასარგებლოდ გაიმართება სახალხო სეირნობა ლატარია-ალეგრით, ლატარიაში იქნება 600 ნივთი ზემოხსენებული სკოლის მოწაფეთა ნაწარმოები. შემოსავალი მოხმარდება საფეიქრო განყოფილებას.

# სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება

კრების შემადგენლობა და არჩევნების წესი შემუშავებული და საბოლოოდ დამტკიცებული საქართველოს საეკლესიო კრების წინასწარ თათბირის მიერ 14 აგვისტოს 1917 წ.

1. საქართველოს საკათალიკოზო სამოციქულო ეკლესიის კრება დაიწყება 8 სეკტემბერს 1917 წ. თბილისში, სიონის ტაძარში, წირვის შემდეგ.

**შენიშვნა.** კრების წევრნი უნდა დაესწრნენ წირვას სიონის ტაძარში.

2. კრების საგანია: საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგება და კათალიკოზ პატრიარქის არჩევა.

3. კრებას თავმჯდომარეობს კათალიკოზ პატრიარქის მოსაყდრე.

4. კრების წევრებად ითვლებიან: ყველა ქართველნი მღვდელ-მთავარნი, არქიმანდრიტნი, იღუმენიები, საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობისა და მის განყოფილებათა წევრები [illegible] წარმომადგენლები [illegible] სამღვდელოებისა და ბერ-მონაზონებისა.

5. კრების წევრნი და მათი ამომრჩეველნი განურჩევლად სქესისა უნდა იყვნენ არა ნაკლებ ოცის წლისა.

6. კრების წევრად შეიძლება არჩეულ იქმნას როგორც მამაკაცი, აგრეთვე დედა-კაცი.

7. წარმომადგენელნი აირჩევიან ამ წესით.

ა) აგვისტოს 27, კვირას, წირვის შემდეგ თვითეულ მრევლში მოხდება ორი ერის კაცის არჩევა. არჩევნებს ხელმძღვანელობს სამრევლო საბჭო, ან, სადაც საბჭო არ არის, ადგილობრივი მღვდელი, ხოლო, სადაც მღვდელი არ არის, საოლქო საბჭოსაგან საგანგებოდ დანიშნული ხელმძღვანელი.

**შენიშვნა 1:** არჩევნების ხელმძღვანელნი შეადგენენ ოქმს, რომელსაც ეკლესიაში ინახავენ, ხოლო არჩეულებს მისცემენ მოწმობებს, რომ ისინი არჩეულნი არიან სამრევლოსაგან.

**შენიშვნა 2:** ამ არჩევნების დროს ამომრჩეველთა წლოვანებისა და ვინაობის შესამოწმებლად ხელმძღვანელი სარგებლობს აღსარებითი სიით, ან სხვა საეკლესიო საბუთებით.

ბ) 30 აგვისტოს სამრევლოში არჩეულნი წარმომადგენელნი შეიკრიბებიან საოლქო საბჭოში (ან სადაც საოლქო საბჭო არ არის კეთილმოწესესთან) და აქვე გამოცხადდებიან ოლქის (საკეთილმოწესოს) ყველა მღვდლები, მთავარ-დიაკვნები და მედავითნეები და ყველანი ერთად ირჩევენ საოლქო საბჭოს ან, სადაც საბჭო არ არის, კეთილმოწესის ხელმძღვანელობით, საეკლესიო კრებაზე გასაგზავნად ოთხს დეპუტატს, სახელდობრ: ერთს მღვდელს, ერთს მედავითნეს (ან მთავარ დიაკონს) და ორს ერის კაცს, რომელთაც იქვე მიეცემათ შესაფერი მოწმობები (მანდატები).

გ) 3 სეკტემბერს საქართველოს ეკლესიის ყველა მონასტრების ბერების და ქალ-მონაზონების დელეგატები შეიკრიბებიან ტფილისში და ირჩევენ თითო ეპარქიიდან ორს დეპუტატს: ერთს ბერს და ერთს ქალ-მონაზონს, რომელთაც იქვე მიეცემათ შესაფერი მოწმობა საეკლესიო კრებაზე დასასწრებლად.

დ) სასულიერო სემინარიები და საეპარქიო და სასულიერო სასწავლებლები, თვითეული სასწავლებელი ცალკე, აგზავნიან საეკლესიო კრებაზე თითო წარმომადგენელს, რომელთა არჩევანი მოხდება იმავე 30 აგვისტოს.

8. საქართველოს გარეშე სხვა და სხვა ქალაქსა და დაბა სოფლებში მყოფ ქართველებს (აგრეთვე ჯარის კაცებსაც), სადაც არიან ასიდან ორასამდე ამომრჩეველნი, შეუძლიათ საეკლესიო კრებაზე ერთი დეპუტატი გამოგზავნონ. თუ მეტია—იმ შემთხვევაში—ორი: ისინი ადგილობრივ იწვევენ საზოგადო კრებას 27 აგვისტოს, ირჩევენ თავიანთ შორის კრების თავმჯდომარეს და მდივანს, მართავენ დეპუტატების არჩევას და აძლევენ არჩეულ ადგილობრივ კომისარის, ან რომელიმე ორგანიზაციის მიერ დამოწმებულ შესაფერ მოწმობას.

9. შერეულ სამრევლოსა და ოლქში მყოფ ქართველებს შეუძლიათ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მახლობელ ქართველ მრევლს შეუერთდნენ.

10. თუ აღმოჩნდებიან ქალაქებში ან სოფლებში ისეთი ამომრჩეველნი, რომელნიც არც ერთ სამრევლოში არ ირიცხებიან, ან სხვა სამრევლოში ითვლებიან, იმათ ნება აქვთ თავიანთი მოვალეობა სურვილისამებრ ერთ-ერთ სამრევლოში მოიხადონ, მხოლოდ არჩევნების წინ ეს უნდა განუცხადონ ადგილობრივ კრებულს ან და სამრევლო საბჭოს რომელსამე წევრს.

11. საეკლესიო კრების ყველა წევრს აუცილებლად უნდა ჰქონდეს თან მოწმობა (მანდატი), რომელსაც წარმოადგენენ ტფილისში და აქ მიიღებენ კრებაზე შესასვლელ ბილეთებს.

12. პეტროგრადის, კავკავის და შორეულ ქართველებს შეუძლიათ გამოგზავნონ კრებაზე დეპუტატებს უფლებით როგორც მღვდლები, ისე არჩეული წარმომადგენლები.

# საქართველოს კათალიკოზი

საცაა უნდა აღსრულდეს ქართველთა ოცნება.

საცაა საქართველოს დიდი იერარქების კირიონის, არსენი დიდის, ოქროპირის, ბულმაისიმიძის, ანტონის და სხ. უსამართლოდ გაუქმებული კათედრა უნდა აღდგეს მკვდრეთით.

საცაა ამ დიდი იერარქების საყდარი უნდა დაამშვენოს ახალმა კათალიკოზ-პატრიარქმა.

დაამშვენოს, მეთქი. და რომ დაამშვენოს, უნდა ამოვირჩიოთ კათალიკოზად კაცი მტკიცე ხასიათით, სპეტაკ ყოფაქცევით, თაოსანი, მოყვარე საქმისა და საქმიანობისა, დაუცხრომელად მზრუნველი, აღმაშენებელი ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით. ისეთი, რომლისთვის ბედნიერება ქრისტიან ქართველებისა ისევე სანუკარი საზრუნავი უნდა იყოს, ვით კეთილდღეობა არა-ქრისტიან ქართველებისა.

გასაკეთებელი და მოსაწყობი უამრავია.

ისიც ცხოვრების ახალ მოთხოვნილებათა შეფარდებითა და შეწონით.

მარტო ლოცვა ხელების ცისადმი აღპყრობით არა კმარა, რომ კათალიკოზად იჯდე.

ეხლა სვინიდისისა და რწმენის თავისუფლების დროა.

ერის უმრავლესობა რაოდენათმე გაუგრილდა სარწმუნოებას. ეს შეინიშნება არა მარტო ჩვენში, არამედ ქებულ ევროპაშიაც დიდი ფილოსოფოსები, „ვოსკრესენიეს“ მექსონისთანა ბუმბერაზები უფრო გაურბიან საყდარს. ეს იმას მოასწავებს, რომ ქრისტიანობა დიდ ევოლიუციას განიცდის...

სასწაულების ხანა გავიდა, თუ ასეთებად არ ჩავთვალეთ ჰაერში ფრენა-ნავარდი, წყლის ქვეშ ცურვა-სრიალი, ათას ვერსზე, ვითა პირისპირ, დალაპარაკება, ორთქლის შემა, ელექტრონით განათება, ამოძრავება მაშინები და მრავალი სხვა სასწაულებრივი საქმე.

ჩვენმა კათალიკოზმაც უნდა ჰმართოს თანახმად ამ ახალ დროის მოთხოვნილობათა, რომ არ დაემსგავსოს იმ მენავეებს, რომელთაც რახან ზღვაში აუტყდათ ქარიშხალი და ღელვა, სახოპეებს ხელი აართვეს, მოჰყვნენ პირჯვრის წერასა და ლოცვას, და უსათუოდ დაიღუპებოდნენ, თუ ნაპირიდამ ბრძენს არ ერჩია მათთვის: „თქვენ ოჯახ-აშენებულებო, ლოცვით ილოცეთ, მაგრამ ხოპეებსაც მოუსვით, რომ გეშველოთო“.

კათალიკოზი ჩვენ გვინდა არა მარტო იმისთვის, რომ ილოცოს, მარცხნივ და მარჯვნივ ჯვარი გადმოგვსახოს; მან ხოპის კარგი მოსმაც უნდა იცოდეს, რომ ჩვენი ნავი კლდეებს და კონცხებს არ დაახეთქოს.

საკათალიკოზოდ დარჩენილა მძიმე ტვირთი, მძიმე მით უმეტეს, რომ მან თვისი მოქმედება უნდა შეუწონოს ახალ მთავრობის მოთხოვნილებათაც.

მონასტრები და ეკლესიები არ დასტოვოს მრევლიდან შემოსავლის ანაბარას, არამედ მათში მეურნეობის აყვავებით მცოდნე ინსტრუქტორების ხელმძღვანელობის ქვეშე გააძლიეროს მათი შემოსავალი იმდენად, რომ ამ შემოსავლით მომავალში გამოიკვებოს არა თუ მარტო სამღვდელო დასი, არამედ გაკეთდეს მრავალი კეთილი საქმე: დაარსდეს სკოლები, გაიმართოს სარწყავი არხები, დაშენდეს ახალი სოფლები, შემოსავლის გასაძლიერებლად ჰაეროვნებით ქებული მონასტრების ირგვლივ მოეწყოს აგარაკები.

საჭიროა სამღვდელოება აღიზარდოს ისე, რომ მას ჰქონდეს პირველდაწყებითი ცოდნა მკურნალობისა, მეურნეობისა საზოგადოდ. ამის უცოდინარი დღევანდელი მწყემსი მხოლოდ იმის მწყემსია, რომ ღატაკ გლეხებისაგან ილოს დრამა. ჰნათლოს, ჰჯვარხოს და კვირაში ერთხელ სწიროს, ისიც ხშირად, მთქნარებით, უგულოდ.

აბა ეს რა მწყემსობაა!

ჭეშმარიტი მწყემსი თავის არა-პირმეტყველ სამწყსოს იყვარებს სულით და გულით, უკეთეს საბალახოზე აძოვებს, იცავს მტაცებელისაგან, ზამთრობით თბილ ბოსელში ინახავს, ზაფხულობით გრილ ბაკეში აბინავებს, უვრევს, უხვეტავს, უგვის.

მას უნდა ჰბაძავდეს პირმეტყველთა მწყემსიც.

იგი მოვალეა ხალხს ასწავლოს წიგნი, კეთილი ზნეობა, სუფთა ცხოვრების საჭიროება, უმკურნალოს ექიმის მოწვევამდე, უკითხოს წიგნები სამეურნეო დარგიდან, უკითხოს გაზეთები, ეცადოს რომ მის მრევლში ერთიც არ დარჩეს უანბანო, უწიგნო.

მრევლის სასახური უნდა იყოს მღვდლობის უსაღთოესი მოვალეობა, მთელი მისი არსება. ერის სამსახური მას არა თუ არ უნდა ეღირდეს, არამედ თვით დაღლილსაც სიმხნევეს უნერგავდეს და ამუშავებდეს.

შეყვარებული საქმე კი არ ღლის კაცს, აღომებს, შეუყვარებელი კი ხელის მოკიდებამდეც ჰქანცავს. საქმეს უნდა ეშინოდეს მშრომელისაგან და არა მშრომელს საქმისაგან!

კათალიკოზის უნარმა სხვა ენაზე სწავლა-მიღებული ჩვენი სასულიერო წოდება უნდა აღამაღლოს იმდენად, რომ შესძლოს პირნათლად გაუძღვეს სამწყსოს მრავალგვარ მოთხოვნილებას, დაემსგავსოს, თუნდაც მცირე ფარგალით, პასტორთ წოდებას გერმანიისა, სადაც პასტორი მასწავლებელთანა და მკურნალთან ერთად შეადგენს ანსა და ჭოეს სოფლის მოღვაწეთა შორის.

მაშ რიღას მწყემსია მღვდელი, თუ მისს სამწყსოში უმეცრება, ცრუმორწმუნება, სიბრიყვე დანავარდობს უბნიდან უბანს, ორღობიდან ორღობეს და თვით საყდრის კარამდეც, ხანდახან, სამარცხვინოდ.

კათალიკოზი თავიდანვე უნდა შეეცადოს ამოაგდოს აწინდელი ტიპი მცონარე და უმაქნის მღვდლისა.

სჯობია 5—10 სამრევლო აწარმოოს ერთმა ჭეშმარიტ მოძღვარმა, ვიდრე ათიეს ჰყვანდეს თითო, ლოთი, ფეთხუში, მუცლოსანი, ისეთი, რომელიც არა თუ თავი არა აქვს მოუაროს მთელს სოფელს, არამედ თავის საყდარსაც, რომელსაც, ხშირად, სტოვებს ობობისა, მტვერისა და ჭუჭყის ჰანაბარას.

შორს ამგვარები წმიდა საქმისაგან, ჩვენ მაცხოვრებელ სოფლისაგან.

საყდარი აღარ უნდა იყოს სამადლო სახლად, სადაც იკვებებიან უმაქნისნი, დრკუნი, სვინდის გარეცხილნი, სამწყსოს დამქცევნი უფრო, ვიდრე აშენებელნი.

რაღა თქმა უნდა, კათალიკოზის მოვალეობა კია იზრუნოს ქართულ დიდებულ ტაძრების დაცვისათვისაც, რომ მთლიანად შენახულნი არ დაინგრნენ, ხოლო დანგრეულებს და მიყრუებულ ადგილებში მივარდნილებს არ დაუპატრონდნენ „ეშმაკები“.

კათალიკოზმა უნდა აღადგინოს ძველთანდელი ქართული წესი ცოლოსნობისა სასულიერო წოდებაში.

აი ეს ამდენი და ბევრიც სხვა საქმეა გასაკეთებელი. აი ესეეთარი შრომა უნდა იტვირთოს ჩვენმა კათალიკოზმა, გულწრფელ ზრუნვით გლეხთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მშობელ ერის ჭირ-ვარამის გაზიარებით, მზა-ყოფნით მისთვის თავდადებად, უნდა მოიგოს მისი გული, მისთვის თავდაუზოგველ შრომითა და რუდუნებით უნდა ატაროს დრონი და ჟამნი, და ამასთანავე მარად სწავლობდეს განათლებულ ერთა გაუმჯობესებულ სასოფლო ცხოვრებას და შესწავლილს შეასწავლიდეს თავის სამამადმთავრო მრევლს, საქართველოს.

რა ბედენაა ჩვენთვის კათალიკოზი, თუ თავზე დაირქვამს ბჭყვრიალა მიტრას, ტანზე ჩაიცვამს ფარჩის კაბას, სამაჯურზე გაიკეთებს უსაქმობის ნიშანს—კრიალოსანს და დაბძანდება თავისთვის განსვენებით, და ნება-ნება ამას აკურთხებს ღვდლად, იმას დიაკვნად, ისიც, ალბად, მდივნისა, თუ გარეშეთა კარნახით.

ერთი სიტყვით, საკათალიკოზო სამკაული ფრიადია, და ვისაც თესვა და მკა არ ძალუძს, ნუ გამოვა ასპარეზზე

საკათალიკოზო საყდარს სჭირია გამოცდილი მესვეური, ხელოვანი მესაჭე, დიდი თაოსანი, ორგანიზატორი, დამოუკიდებელი, რაოდენადაც შეიძლება, კაცი.

გვყავნან დღეს ჩვენ ასეთები? უნდა მოვნახოთ გულის სიწრფელით.

ღმერთმა ინებოს, არჩევანში არ შევცდეთ, არ მოვტყუვდეთ.

გაუმარჯოს საერთო საფუძვლიან საქმიანობას, საყოველთაო საამაშენებლო მუშაობას ქართველ ნიჭიერ ერის საკეთილდღეოდ.

მ. ჯანაშვილი.

# კორესპონდენცია

## დ. საჩხერიდან

აჰა კიდევ ნაყოფი ჩვენი ცხოვრებაში დაქვეითებისა და მოუმზადებლობისა· დღემდის თუ ჩვენს საზოგადოებას თავი მოჰქონდა მით, რომ ძველი წესწყობილების დამხობის შემდეგ ახალს წინდახედულად შევხვდით და ჩვენმა საზოგადოებამ ეს წინდახედულება თვით აგრარულ საკითხში გამოიჩინა, დღეს ეს აღარ გვეთქმის.—აღარ გვეთქმის იმიტომ, რომ ზოგს ადგილებში მოთავეთა ნაწილმა თვისი უნიადაგო და მოუმზადებელ მოქმედებით არამც თუ ვერაფერი სარგებლობა მოგვიტანა, არამედ ხალხი სწორ გზას აცდინა, რაც დიდ აღშფოთებას იწვევს შეგნებულ ელემენტებში.

წასული თვის უკანასკნელ რიცხვებში დ. საჩხერის ვაკეებზე, რომელსაც „ხვადაბუნები“ ეწოდება, კნ. ე. წ—ს ვიღაც უცნობებმა დაუწვეს მთელი წლის საჩხო პურისა.—მიუხედავად იმისა, რომ პურის მოსავალზედ შემარიგებელი კამერები იყვნენ და მუშასაც ჩვეულებრივ უნდოდა საქმე—ამ კამერას გაერჩია ამ მოსავალზედ—გადაწყვეტილებამ კამერისამ ვერ იპოვნა ნიადაგი, რადგან მუშას რომ იგი სისრულეში მოეყვანა, არ შეესაბამებოდა და წინააღმდეგი აღმოჩნდებოდა ვითომდა პარტიის კაცუნათა მოქმედებისა და ნაკარნახევისა.

აი ამან გამოიწვია არამც თუ დაბა საჩხერეში პურის მოსავლის დაწვა, არამედ მგონი წირქვალის საზოგადოებაშიც ს. ყაველაშვილებში, სადაც გლ. ი. ყ—ილი მთელ მოსავალს გამოასალმეს.

მოსავლის დაწვის შესახებ დააკავეს დ. ზ—ძე, ნ. ს—ძე და სხვანი. ამავე საგანზე გუბერნიის კომისარი მიღებულ ზომების შედეგის მოხსენებას სთხოვს, და თუ რა პასუხით დაკმაყოფილდება კამისარი ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოთაგან, ეს ჯერ ჩვენ არ ვიცით.

ჩვენი დაბის დუქან-მაღაზიებში დაწყობილ საქონელს კარგი ხანია საზღაპრო ფასები დაადეს და მიუხედავად ამისა ვეღარც ვშოულობთ პირველ და აუცილებელ საქონელს. ადგილობრივ ნაწარმოებს კი გზა აქვს შეკრული.

წინეთ თუ აქ ბაზარზე შემოსულ პირებს ნახავდით ნაწარმოების საშოვნელად, დღეს ვეღარ ნახავთ, რადგან ჩარჩმა კომიტეტის მოწმობა იშოვნა და თვით სოფლიდან მიეზიდება საქონელს თავისკენ. მაგალითად, აქაური ოსური ყველი პირდაპირ გადააქვთ ცხინვალზე, და თუ ჩვენ ბაზარში შემოვიდა, აქ ხომ მას ერთი პიროვნების მეტი ვერვინ შეიძენს.

შემოდის ნაქსოვი საჩოხე შალები, თავშლები, ჩულქები, შულოები, ქუდები და სხვა. ამათი ყიდვის და მახლობელ დაბა-ქალაქებში გატანის უფლება თუ ავკრძალეთ, ეს ყოვლად შეუწყნარებელია. ამ ორი კვირის წინეთ ვინმე ვ. ხ—ზმა, დ. ჩხარიდან შემოსულმა, რამდენიმე საჩოხე შალები და აბრეშუმის შულოები დღემდე ვეღარ მიიღო ადგილობრივ კომისიის ძალებისაგან—ეს საქონელი, რა თქმა უნდა ადგილობრივაც საჭიროა, მაგრამ იგი თუ მეტ ბაზარს ნახავს, მეტი ნაწარმოები შემოვა და ყველასათვის ხელსაყრელია.

საქმე დ. საჩხერეში ძალიან ბევრია, მაგრამ ძველი წეს-წყობილებისაგან ისე ვართ შებოჭილ-მოდუნებული, რომ უსაქმობას ვამჯობინებთ. ბაზარს საიარმუკო ადგილი მარჯვე ადგილას არა აქვს, კოოპერატიულ ნიადაგზე მეტი შეკავშირება და სოლიდარობის გამოჩენაა საჭირო, დაბას აკლია წყალი, რასაც ძალიან ადვილად შეიძენს, რომ მოთავე იყვეს; აკლია თეატრი, სკოლებზე ზრუნვა, გზები და ვინ იცის რამდენი რამ.

აქეთ ისე კვირა არ გაივლის, რომ საღამო არ გამართოს ამა თუ იმ პარტიამ, თითოეული საღამო საპარტიო ბარათებით მოწვეულ ხალხს უჯდება არა ნაკლებ ხუთი-ათასი მანეთისა შემოსავლიან-გასავლიანად, და იმაზედ კი, რომ ხალხის საჭიროებას რამე ეშველოს, არავითარი ზრუნვა არ არის, არც შეერთებულად, არც კერძოთ.

მეზობელმა ათიოდე ბრძენმა დაბა ჭიათურაში შეაგროვეს 50 ათას მანეთამდე და მანჯურია-ვლადივოსტოკში გაგზავნეს კაცი ფეხსაცმელებისა და ტყავეულობის მოსატანათ. ისინი ცოტა ფულს არ შეიძენენ ჩვენგან—ჩვენ განა ცოტა ფული შევძინეთ ამ ნიადაგზე ვინმე მ—ს დ. ჭიათურაში? რა თქმა უნდა ბევრი! ამისთანა საჭირო საგნებისათვის რომ ვიზრუნოთ, მე მგონია უფრო დაგვეფასდება, ვიდრე საღამოების მართვა და საზოგადოების ფულით კერძო პირთა დახმარება. საღამოების გარდა იმართება წარმოდგენებიც.

მუშა ხელები აღარ გვყავნან,—ისე დაგვცალა მათგან საზოგადოების „ზემგორის“ წარმომადგენლებმა. მათი აგენტები თვით სოფლებში დააგზავნეს, ახრებ ბრჭყვიალა პაგონებიანს რომ ხედავს, ჩვენი მუშა, აქეთ ყოფილა ხსნაო და მირბის ტრაპიზონ—მელიასგერთში. ზემგორის აგენტებს დუქნების წინადაც იპოვით. დუქანზე მიკრული აქვთ განცხადება და თვითონ როგორც ობობები შეჰყურებენ—აბა ვინ მოვა, რომ გაება ქსელშიო.

თვე ნახევარია წვიმა არ ყოფილა დ. საჩხერეში. მოსავალი სიმინდისა ნაკლები იქნება აქეთ.

გალ. ქავთარაძე.

## გორის მაზრიდან

საეკლესიო ყრილობა. 9 ამა თვისას გორის მაზრის მეცხრე საკეთილმოწყესო ოლქის სამღვდელოებამ იქონია კრება სოფ. მერეთში დისევის სამრევლოს მღვდლის ალექსანდრე ოქროპირიძის თავმჯდომარეობით· კრებამ განმარტა სრულიად საქართველოს კათოლიკოსის და საკათოლიკოსო კრების წევრთა არჩევნებ ს წესი. იყვნენ დასახელებულნი კანდიდატებათ ყოვლად სამღვდელონი: ეპისკოპოზნი კირიონი, ლეონიდე და არხიმანდრიტი ამბროსი, საკათოლიკოსო კრების წევრების კანდიდატებათ: სოფ. დისევში მცხოვრებელი ისაია იოსების ძე ოქროპირიძე, სოფ. არბოში მცხოვრებელი ნინო დურმიშხანის ასული მაკასარაშვილისა-ქურული, სოფ. ერედვში მცხოვრებელი დარია დიმიტრის ასული ფავლენიშვილისა, სოფ. მერეთში მცხოვრებელი მასწავლებელი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მერაბაშვილი და სოფ. ვანათის მედავითნე ნიკოლოზ ბაკურაძე, რომელთაც კათოლიკოსის არჩევნების შემდეგ 15—სავე აგვისტოს ეყრებათ საარჩევნო კენჭი.

სათავო საბჭოში ჩამატებულ იქმნენ ერთ ხმად: მთავარ დიაკონი სიმონ ოქროპირიძე, და ერთიდან: ისაია იოსების ძე ოქროპირიძე, ვასილ მიხეილის ძე რონიაშვილი და გრიგოლ გაბრიელის ძე თედელური.

კრებამ სხვათა შორის იქონია სჯა შესახებ თავის უკიდურეს მატერიალურის მდგომარეობისა და დაადგინეს: ეთხოვოს სრულიად საქართველოს კათოლიკოსის მოსაყდრეს, ყოვლად სამღვდელო ლეონიდს, რაც კი შეიძლება მალე მოიყვანოს სისრულეში გორის მაზრის სამღვდელოების დადგენილება შესახებ ჯამაგირებისა: მღვდელს არა ნაკლებ 200 მან., მთავარ დიაკონს 150 მან. და მედავითნეს 100-სა თვეში. ხოლო ამა დადგენილების განხორციელებამდის მოახდინოს თავისი განკარგულება, ვისთანაც ჯერ არს, რათა კამისარებმა მოუკრიბონ კრებულს 1916 წლის დრამა ფულად ან მოსავლით, ან და რაიმე წყარო გამოძებნონ სამღვდელოების უკიდურეს მდგომარეობიდგან გამოსაყვანათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამღვდელო-სასულიერო მოსამსახურენი, სულით ეცემიან, შავი ფიქრები ბევრს ცუდ მდგომარეობადის მიიყვანს, რამაც შეიძლება, მორწმუნე ერზედ, ცუდი გავლენა იქონიოს.

დისეველ-ხაპირელი.

## ახალ-სენაკიდან

**სამეურნეო საზოგადოება.**

საზოგადოება დაარსდა 16 ივნისს 1916 წ. ამ დროიდან დაწყებული 19 ივლისამდე ამა წლისა წევრებათ ჩაწერილა 87 კაცი. საწევრო გადასახადი—თითო მანეთი. უმთავრესი ყურადღება საზოგადოებას მიუქცევია შაბიამან-გოგირდის იაფ ფასებში გაცემისათვის. ბლომად შეუძენია აგრეთვე ბოსტნეულობის თესლეულობაც. იმავე დროს გაუნათხოვრებია მრავალი სამეურნეო იარაღი, რომელიც დაუთმია საზოგადოებისათვის საერობო აგრონომიულ ორგანიზაციას.

არ დაუტოვებია ყურადღებოდ ყაჭის თესლის დარიგებაც, მაგრამ აქ ზარალი მოსვლია თესლის უვარგისობის გამო. მიუხედავად ამისა საზოგადოებამ წლიური მოქმედება თავისი მაინც მოგებით დაასრულა, რაც სჩანს შემდეგი ანგარიშიდან, რომელიც დაამტკიცა საზოგადოების საერთო წევრთა კრებამ 30 ივლისს ამა წლისა:

შემოსავალი.

| | | |
|---|---|---|
| 1. პაი | 157 მ. | |
| 2. შემოწირულება | 220 მ. | |
| 3. სესხი | 16271 მ. | 11 კ. |
| 4. ვაჭრობისაგან | 14113 მ. | 79 კ. |
| 5. საქონელი საწყობში | 2389 მ. | 30 კ. |
| ჯამი | 33151 მ. | 20 კ. |

გასავალი.

| | |
|---|---|
| 1. გასტუმრებული სესხი | 15043—41 |
| 2. საწევრო სხ. ღ. სხ. ბანკებში | 200— |
| 3. ვაჭრობაში გაცემული | 14251—82 |
| 4. შეძენილი ინვენტარი | 33—80 |
| 5. წვრილი ხარჯები | 1163—73 |
| 6. კასაში | 69—14 |
| | 30761—90 |
| 7. საერთო მოგება | 2389—30 |
| ჯამი | 33,151—20 |

საერთო მოგების ხარჯების გამოკლებით (2389 მ. 30 კ.—1163 მ. 73 კ.) დამრჩა წმიდა 1225 მ. 57 კ.

ამავე კრებამ, იქონია რა მსჯელობა მომავალ მოქმედების შესახებ, დაავალა დავალოს გამგეობას:

1. ახლავე გამოიწეროს პურის სათესლე 10,000 ფუთი.

2. შეიძინოს სხვა და სხვა სამეურნეო იარაღები რუსეთიდან უმეტესად ნორვეგიიდან 50,000 მანეთის.

3. ამ თავითვე შეუდგეს დაფნის და თხილის ყიდვის ოპერაციებს კოოპერატივების და საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით.

4. დაუკვეთოს ფირმებს ადგილობრივი ტიპის ნაჯახების დამზადება.

5. მიეცეს უფლება გამგეობას აიღოს სესხი ყველა ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად საკრედიტო ამხანაგობებისაგან, საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან და კოოპერატივებიდან.

მომავალი წლის ხარჯ-აღრიცხვა კრებამ ივარაუდა ამ სახით:

| | |
|---|---|
| 1. ახალებ სესხის სარგებელი | 1000 მ. |
| 2. ნოქარს ჯამაგირი | 1200 მ. |
| 3. საქმის მწარმოებელს | 360 მ. |
| 4. ბინის ქირა | 600 მ. |
| 5. ინვენტარი | 200 მ. |
| 6. მოულოდნელი ხარჯები | 1000 მ. |
| 7. საფოსტო ხარჯები | 100 მ. |
| სულ | 4460 მ. |

შემდეგ კრება შეუდგა ახალ არჩევნებს გამგეობის წევრებისა. აირჩიეს ა. ჩხეტია, მღ. გ. გამზარდია, გ. თოფურიძე, ვ. ხოფერია.

საზოგადოების თავმჯდომარე გ. გ—ძე.

მდივნის მაგიერი ალ. კალანდარაშვილი.

## წერილი რედ. მიმართ

(ვ. გუნიას ფონდისათვის)

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ დამსახურებულ მსახიობ ვალ. გუნიას სახლის ასაგებ კომიტეტს გადასცეთ დაბა ცხინვალში მოკრებილი წვლილი, სულ 55 მანეთი.

**სია შემომწირველთა:**

ეკატერინე იარალოვისაგან 1 მან., მიხ. ხერხეულიძისაგან 1 მან., მარო შანშიაშვილისაგან 1 მან., კოტე ქარუმიძისაგან 1 მან., ტუკა მაჩაბლისგან 1 მ., მანია მაჩაბლისაგან 1 მან., ჰასან ირზა-ყულიბეგისაგან 1 მ., გიულ ახმედ-ბეგ-მუსაევისაგან 1 მან., კაპიტ. ყულიჯანოვისაგან 2 მან., გრიშაევისგან 1 მან., გიორგი ფავლენიშვილისაგან 1 მ., გიორგი დავითაშვილისაგან 1 მ. 50 კ., მარიამ დავითაშვილისაგან 1 მ. 50 კ., მიხეილ მაჩაბლისაგან 2 მ., მიშა ბროძელისაგან 1 მან., დოანიძესაგან 1 მან', ანნა ალექსიძისაგან 2 მ., ეკატ. ოვანოვისაგან 1 მ., მიხ. კუმარიტოვისაგან 1 მან., იასონ ლევ. ხიმშიაშვილისაგან 1 მ., ერვანდ პეტროევისაგან 1 მან., ანნა ფარსადანოვისაგან 1 მ., ი. მ. იარალოვისაგან 1 მან., ბარბარე ტერსტეპანოვისაგან 1 მან., გ. როსტევანოვისაგან 1 მ., ი. მ. გოგინაშვილისაგან 1 მან., გიორგი დავითაშვილისაგან 1 მ. ვას. ჩიტაევისაგან 2 მან., ლიდ. ფოლადოვისაგან 1 მან , ელ. მურადოვისაგან 1 მ., ტას. ბაზაროვისაგან 1 მ., ხოჯაევისაგან 1 მან., მ. ხიმისაგან 1 მ., დარ. გრ. იასალოვისაგან 1 მან., ივ. ორჯონიკიძესაგან 1 მან., ოლ. გ. დავითაშვილისაგან 1 მან., 3. გოცირიძისაგან 3 მან., მარ. ხერხეულიძისაგან 1 მან., ანდრუშასაგან 1 მან., ილია ტატიშვილისაგან 1 მან., ც. ცოშვილისაგან 1 მ., ევ. ზაქ. კისლაევისაგან 1 მან., მარ. გიორ. წინამძღვრიშვილისაგან 2 მან., დათ. იოს. მაჭავარიანისაგან 1 მან., იაგ. მიხ. იარალოვისაგან 1 მან., არს. დედანიშვილისაგან 1 მან., ნიკა კასრაძესაგან 1 მან.

ყველა შემომწირველთ მადლობას ვუძღვნით.

ეკატ. მეძღვევის ასული იარალოვისა.

—

ბატონო რედაქტორო!

სიღნაღის ქართველ ახალგაზრდა სცენის მოყვარეთა ჯგუფმა გამართა **წარმოდგენა** 4 ივნისს ახალ კლუბის დარბაზში, თბილისში არსებულ ქართულ სახელმძღვანელოების გამომცემელ კომისიის სასარგებლოთ. წარმოდგენილ იქმნა: „ლურჯი ხალათი“ „დატრიალდა ჯარა“ და დივერტისმენტი. და წმინდა შემოსავალს ამ წარმოდგენისას 52 მან. 27 კ. ამასთანავე გაახლებთ და გთხოვთ გადასცეთ ქართულ სახელმძღვანელოების გამომცემელ კომისიას.

გამგეობა მადლობას უძღვნის ყველა იმ პირთ, რომლებმაც მიიღეს საღამოში მონაწილეობა.

პატივისცემით სიღნაღის ქართველ ახალგაზრდა სცენის მოყვარეთა ჯგუფის თავმჯდომარე ვ. ჯანიაშვილი.

**გამგეობის წევრნი:** გ. შაიშმელაშვილი, ე. მენთეშაშვილი, ი. ტყავაძე, გამგეობის წევრი—მდივანი ს. სააკაშვილი.

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი.**


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მოძრაობა**

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8,20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-2, | 11.13 | საღ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ბ. შ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 8***, | 8.10 | დილ. |

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

# კომერციულ ცოდნათა

კ უ რ ს ე ბ ი

# ტ. მ. ფილოიანისა

ორივე სქესისთვის

(თბილისი, მიხეილის პროსპ. № 24, ტელ. № 976).

თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სეკტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

თ—734—2

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წლ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წლ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილთაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სეკტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკველია.

# თეფზის მრეწველნი
# ძმ. მეზვლიშვები

[illegible]